საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 262 (541) შაბათი, 26 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

აქტიური საბრძოლო მოქმედების ღამე

25 დეკემბერს დილაადრიან აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს ჯარების მთავარი შტაბის პრესცენტრში ჟურნალისტებს აცნობეს, რომ გუშინ და წუხელ შესამჩნევად გააქტიურდნენ აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებანი ყველა მიმართულებით. ღამის 8 საათზე მდინარე კოდორის შესართავში მოულოდნელად გამოჩნდა სამი გემი. ღამის წყვდიადში მათ სცადეს მიდგომოდნენ ნაპირს სოფელ სკურჩასა და ბაბუშერას შორის, დესანტის გადმოსხმის მიზნით. ვარაუდობენ, რომ გემებზე იყო სულ ცოტა 400 მოთარეში. ქართული ჯარების სანაპირო დაცვის ნაწილებმა მათ არტილერიისა და ქვემეხების ცეცხლი დაუშინეს და აიძულეს მოშორებოდნენ ნაპირს. ამ დროისათვის გამოჩნდა ვერტმფრენიც, რომელმაც იერიში მიიტანა გემებზე. ერთ-ერთი მათგანი დაზიანდა, ორი კი ზღვაში მიიმალა.

ვერტმფრენის ეკიპაჟს გემების დევნაში ხელი შეუშალეს რუსეთელმა მესაზღვრეებმა, რომლებმაც ცეცხლი დაუშინეს მას.

24 დეკემბრის საღამოდან მდინარე გუმისთის გაღმა აფხაზთა მხარემ აქტიური მოქმედება დაიწყო. ჯერ ცაში გამოჩნდა დელტაპლანი, შემდეგ კი სოფლებში გვანდრაში, ქვემო და ზემო ეშერაში დაიწყო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის თავმოყრა. ორი ვერტმფრენი გამოჩნდა ამ დროს სოფელ შრომის მიდამოებში. ყველაფერი მოწმობდა იმას, რომ მზადდებოდა იერიში სოხუმზე. ვფიქრობთ, რომ ეს იყო იმ საბრძოლო მოქმედების საერთო გეგმის ძირითადი ნაწილი, რომელსაც უკავშირდება საზღვაო დესანტის გადასხმა აეროპორტის რაიონში, აგრეთვე ქართული ჯარების პოზიციებზე იერიშის მიტანა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრასთან.

24 დეკემბერს სოხუმს კვლავ ბარბაროსულად უშინდნენ ცეცხლს. 5 ჭურვი გასკდა ბაგრატიონის ქუჩაზე რკინიგზის ვაგზლის უკან. დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, არიან დაშავებულნი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

სოხუმის გარნიზონის უფროსის ბრძანებით ქალაქ სოხუმის კომენდანტად დაინიშნა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი მერაბ გამზარდია.

თენგიზ ჯიბუტი.

დღესასწაული მაინც გაიმართება...

დღევანდელ ძნელბედობის ჟამსაც კი ახალი წელი დღესასწაულია.

თბილისში არ იქნება დიდი ილუმინაციები, მაგრამ ცენტრალურ ქუჩებში დადგმული ვერცხლისფერი ოთხი ლითონის ნაძვის ხე, ერთგვარად გამოაცოცხლებს ჩვენს ულიმღამო ყოველდღიურობას, ორი მოსალოცი პანო უკეთესი ცხოვრების იმედს გაგვიძლიერებს.

ქალაქის პარკებში ამუშავდება ატრაქციონები მხიარული მუსიკის თანხლებით. ხეები ფერად-ფერადი ბურთებითა და გირლანდებით მოირთვება. ცირკში, სპორტის სასახლეში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები ქართული თეატრისა და ესტრადის მსახიობთა მონაწილეობით. საახალწლო ნაძვისხეები კულტურის სახლებში ელიან ბავშვებს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

რეპორტაჟი

ზამთარი, რომელსაც არავინ ელოდა?

თბილისში თოვს. ამ ამბავს ახლო წარსულში თბილისელები საერთოდ მშვიდად შეხვდებოდნენ. თოვლს გარკვეული სიძნელეები მოჰქონდა — ცუდად მუშაობდა საქალაქო ტრანსპორტი, ფერხდებოდა ელექტროენერგიის მიწოდება, პურის მიტანა მაღაზიებში...

ახლა კი ამას განსაკუთრებული შეშფოთებით შეხვდნენ: ჩვეულებრივ ზამთრის საზრუნავს ისიც დაემატა, რომ არ თბება ბევრი სახლი, საშინელი სიძვირეა ბაზრებში და, რაც მთავარია, დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ ადამიანები, თუ როგორ არიან ჩვენი ბიჭები იქ, საბრძოლო პოზიციებზე აფხაზეთში.

ნორჩ თბილისელებს კი ომობანას თამაში უნდათ: ოღონდ, მადლობა ღმერთს მხოლოდ გუნდაობით!

ირაკლი გედენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დროა, ხმა აღვიმაღლოთ უსირცხვილო სიცრუის პასუხად!

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ რუს მოსახლეობას, ყველა მოქალაქეს

ძვირფასო თანამოქალაქენო!

ჩემი დღევანდელი მიმართვა განაპირობა იმან, რომ რუსეთის უზენაეს საბჭოში განიხილავენ საკითხს საქართველოს მდგომარეობის შესახებ და საკითხის ასე დაყენება ნორმა ხდება რუსეთის პარლამენტისათვის.

ჩვენ სოციალური გაჭირვების და პოლიტიკური ძვრების მძიმე დრო დაგვიდგა. და, რაც მთავარია, საქართველოში ომია — უაზრო, დაუნდობელი ომი, რომელიც თავს მოგვახვიეს ჩვენსავე ტერიტორიაზე, სულ ახალ-ახალ მსხვერპლს რომ მოითხოვს.

ძნელია, ასეთ სიტუაციაში გამონახო სიტყვები, რომლებიც იმის იმედს ჩაუსახავს კაცს, რომ მალე დამყარდება მშვიდობა და დაგვიდგება კეთილდღეობის ხანა. მაგრამ მჯერა, რომ საქმის კეთილად დასასრულის რწმენა ცოცხლობს თითოეულ ჩვენგანში, ყველა იმ ადამიანში, ვინც, როგორც მოქალაქე იზიარებს ქართველი ხალხის უფლებას, დაიცვას თავისი სახელმწიფოებრიობა.

მკაფიო მოქალაქეობრივ პოზიციაზე დგომა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა სუვერენულ სახელმწიფოსა და მისი ხალხის წინააღმდეგ ძალისმიერ მოქმედებას თან ახლავს უცერემონიო პოლიტიკური ზეგავლენა. პროპაგანდის საშუალებებით მიზანმიმართულად ახდენენ საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციას, ცდილობენ მსოფლიო დაარწმუნონ, რომ საქართველოში ილახება ადამიანის უფლებები, ხოლო კონფრონტაცია აფხაზეთში, სხვა არა არის რა, თუ არა ომი ორ ქვეყანას, ორ ხალხს შორის.

სწორედ ასეთ კვალიფიკაციას აძლევს მოვლენებს რუსეთის ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი, რომლებმაც არსებითად სანქცია მისცეს სხვა სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში პირდაპირ ჩარევას. ამის შედეგად ჩაიფუშა მოლაპარაკება. პროვოკაციულად გამოიწვიეს დამპყრობლური ოპერაციები აფხაზეთში.

ახლა იგივე ძალები ამწვავებენ ვითარებას, და ამისათვის ნებისმიერ საბაბს იყენებენ ანტიქართული კამპანიის გაჩაღების მიზნით. ამჟამად მათ გამოადგათ რუსეთის საჰაერო-სამხედრო ძალების ვერტმფრენთან დაკავშირებული შემთხვევა.

ამ დროს არავინ არ უარყოფს იმას, რომ აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე იბრძვიან რუსეთის მოქალაქეები, ამასთან უკვე არა მარტო როგორც დაქირავებულები, არამედ რუსეთის რეგულარული ჯარების შემადგენლობაში. ამ აქციის გასამართლებლად, რომელიც ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა ცივილიზებულ ნორმას, აყენებენ კარგად ცნობილ მოსაზრებას — „რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვას“. როგორც ჩანს, სხვა არგუმენტები აღარ დარჩა, რადგან მსოფლიოში სერიოზულად უკვე აღარავინ აღიქვამს აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა მიერ თვითგამორკვევის უფლების ისეთ აბსურდულ, ექსტრემისტულ განმარტებას, როცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად მის განხორციელებას ლამობენ სახელმწიფო საზღვრების ძალით გადაკეთების მეშვეობით.

გვესმოდა, რომ ვერავითარი საბაბი ვერ გაამართლებს საქართველოს პოტენციური დაშლისათვის გამიზნულ მისწრაფებებს და სრული უფლებით ველოდით, რომ რუსეთი გონივრულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებდა. უფრო მეტიც, ჩვენ, როგორც ცნობილია, ვემზადებოდით რუსეთ-საქართველოს ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც, საერთო აზრით, მარტო თვისებრივად ახალ საფუძველს კი არ ჩაუყრიდა კეთილმეზობლურ ურთიერთობას, არამედ შეიძლებოდა კავკასიაში მშვიდობის გარანტიც გამხდარიყო.

სამწუხაროდ, რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში სხვა ინტერესებმა იმძლავრა. „გათიშე და იბატონე“ პრინციპის სხვა ისტორიული მემკვიდრეობითობა მოეწონათ ფიცხელ პოლიტიკოსებს. ისღა რჩებოდა, რომ ომით გაპოხიერებულ ნიადაგზე დაეთესათ რაღაც მითი საქართველოში რუსების დევნისა და ცდილიყვნენ ამით გაემართლებინათ ყოველი ძალისმიერი აქცია.

არაერთგზის და სხვადასხვა დონეზე კეთდებოდა განცხადებები, რომლებსაც ასეთი სარჩული ედო. მსგავს გამოხტომებზე განსაკუთრებული რეაქცია არ გამოგვივლენია და, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ვერ ვხედავდით ჩვენთან რაიმე სპეციფიკური რუსული პრობლემა

(დასასრული მე-2 გვ.).

პარლამენტი ნაყოფიერად მუშაობს

საქართველოს პარლამენტის სხდომიდან

23 დეკემბერს საღამოს სხდომაზე პარლამენტართა შეკითხვებზე ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრის მურთაზ ზანკალიანისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თემურ ხაჩიშვილის პასუხებმა დიდი დაინტერესება და კამათი გამოიწვია. შემდეგ სიტყვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ აიღო. ასეთი შეხვედრები მართლაც კარგი პრაქტიკაა, თქვა მან. ისინი თანდათან დაიხვეწება და რაც შეიძლება ნაკლებ დროში მეტ სასარგებლო ინფორმაციას, რჩევას მიიღებს პარლამენტი. მინისტრების ინფორმაცია იმედისმომცემია, რადგან მათში არ იყო იაფფასიანი დაპირებები. ორივენი საქმეზე ღრმად დაფიქრებული ადამიანები არიან და მთელი სიგრძე-სიგანით ესმით ის პასუხისმგებლობა, რაც მათ პარლამენტმა და ხალხმა დააკისრა.

კამათის დროს, განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, გამოიკვეთა ერთი ასეთი საკითხი: პარლამენტმა კანონების შექმნაზე იმუშაოს თუ განიხილოს მწვავე საკითხები, რომლებიც დღეს საქართველოს მართლაც უამრავი დაუგროვდა. რა თქმა უნდა, უნდა განვიხილოთ მწვავე საკითხებიც, მაგრამ ჩვენი დღევანდელი უპირველესი ამოცანა მაინც კანონების შექმნაა.

მძიმე ახალი წელი გველოდება. თუ გვინდა, ჩვენს ხალხს შევეშველოთ, უმოკლეს დროში უნდა გადავიდეთ ახალ ეკონომიკურ რელსებზე. ეს კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ შევიმუშაოთ სათანადო კანონები. სწორედ ჩვენს მიერ შექმნილი კანონებით გახდება შესაძლებელი საფუძველი გამოეცალოს მაფიას, იმ კომერციულ სტრუქტურებს, რომლებიც მაფიოზურ ბაზაზეა შექმნილი, სტიმული მიეცეს ნამდვილ ბიზნესმენებს, მოვიზიდოთ უცხოური კაპიტალი.

სახელმწიფოს მეთაურმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ეროვნული თავდაცვის ფონდის შექმნა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. უკვე შემოსულია 160 მილიონი მანეთი. ფონდის ანგარიშიდან შეძენილია 4 ვერტმფრენი, რომლებიც ჩვენს შეიარაღებულ ძალებს შეემატა. ერთი ვერტმფრენი უნდა გადაეცეს პოლიციას.

24 დეკემბერს პარლამენტის განახლებულ სხდომაზე განიხილეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ. იმ მოქალაქეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში. განსაკუთრებული პირადი წვლილი მიუძღვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. პარლამენტმა დააწესა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები: დავით აღმაშენებლის, ვახტანგ გორგასლის და „ღირსების“ ორდენები,

(დასასრული მე-2 გვ.).

ახალი წლის მიჯნაზე

ალექსანდრე ჩიკვაიძე:

„პატარა სახელმწიფოებს დიდი შეცდომების დაშვების უფლება არა აქვთ!“

ჩვენი გაზეთის სტუმარია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე



ეს სურათი 1992 წლის დეკემბერში სტოკჰოლმში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზეა გადაღებული. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე და საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

— **ბატონო** ალექსანდრე, რამდენიმე დღეც და 1992 წელი ისტორიას ჩაბარდება. წელიწადის ამ დროს, გლეხს ჭირნახული დაბინავებული აქვს და ბუხართან მჯდომი გაწეულ სამუშაოს აანალიზებს, მომავალზე ფიქრობს. გამონაკლისს ალბათ, არც თქვენ წარმოადგენთ, და ცხრა თვეში, ერთი შეხედვით მცირე დროში, რაც საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობთ, კარგა ბარაქიანი „მოსავალი“ მოიწიეთ. იქნებ ჩვენს მკითხველებს კულისებში შეხედვის საშუალება მისცეთ და დიპლომატიური სამზარეულოს „ცხარე კერძების“ დამზადების რეცეპტურა გააცნოთ, განვლილი ეტაპი გააანალიზოთ და მომავალზეც გვესაუბროთ?

— ურთულესსა და ძალზე პასუხსაგებ მისიას მაკისრებთ, რადგან თქვენი კითხვები იმას ნიშნავს, რომ ერთგვარი ანგარიშით და სამომავლო პერსპექტივებით უნდა წარვსდგე „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა დიდი აუდიტორიის — ფაქტობრივად მთელი საქართველოს წინაშე. ერთადერთი, რამაც ჩემი ამოცანა შეიძლება შემამსუბუქოს, ის გახლავთ, რომ საგარეო პოლიტიკის სფერო ქართველი კაცის გენეტიკური ლტოლვაა, ამ სფეროში ბევრი ფლობს გარკვეულ ინფორმაციას და აქვს კომპეტენტურობის არც თუ უსაფუძვლო პრეტენზია. ეს გარემოება კი თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხს ნაწილობრივ მიადვილებს.

თავიდანვე ხაზგასმით ვიტყვი, რომ ის, სადაც სამინისტროს საქმიანობაში დადებითი შედეგები გვაქვს, არ მინდა ვინმემ მხოლოდ ჩვენი უწყების დამსახურებად მიიჩნიოს. ჩვენს მუშაობაში მონაწილეობდა და ხელს გვიწყობდა რესპუბლიკის მრავალი ორგანიზაცია. ამასთან უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს „შევარდნაძის ფაქტორი“, რასაც ხშირად გადამწყვეტი, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მხედველობაში მაქვს ჩვენს სახელმწიფოში იანვრიდან ოქტომბრის არჩევნებამდე არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაცია, რაც მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მხრიდან აღიარების, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და დახმარებისათვის სხვა ქვეყნისა და სხვა ხელმძღვანელის პირობებში ხელშემშლელი მიზეზი გახდებოდა. სწორედ ამ ნიშნით მიმდინარეობდა იზოლაციისაგან თავის დაღწევა, საერთაშორისო არენაზე გასვლა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა. ეს ეტაპი დაგვირგვინდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი გაწევრიანებით, რითაც ბევრი თვალსაზრისით არასტაბილური სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარების გამო ხალხთა მსოფლიო თანამეგობრობამ ავანსი სრულად გაიღო. ამან დამოუკიდებელ საქართველოს ის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი ლიბო-საძირკველი შეუქმნა, ურომლისოდაც საერთაშორისო ურთიერთობა წარმოუდგენელია.

დროის ამ პერიოდში სამინისტრო ცდილობდა აღიარების პროცესის კალეიდოსკოპურ სისწრაფეს ღირსეულად შეხვედროდა და ამის პარალელურად გლობალურ პროცესებში საქართველოს აქტიური ჩართვის საფუძველი შექმნა. ამასთან ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ანალიტიკური საქმიანობა, რომლის მიზანი სწორი საგარეო-პოლიტიკური მრავალპლანიანი პრიორიტეტების დამუშავებაა.

(დასასრული მე-8 გვ.).

ნომერში

• რუსი მწერლები, სამწუხაროდ, სდუმან. 3
• სტუდენტური სპორტი გაყიდულია. 4

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის

განკარგულება

დაინიშნოს გენერალ-მაიორი პანტელეიმონ ივანეს ძე გიორგაძე საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდლის მოვალეობის დროებით შემსრულებლად — მთავარი სამმართველოს უფროსად, მხედველობაში იქნეს რა მიღებული მისი დიდი გამოცდილება, ავტორიტეტი და სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და თავდაცვის საქმის ღრმა ცოდნა.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები — ორდენები და მედლები:

დავით აღმაშენებლის ორდენი;
ვახტანგ გორგასლის ორდენი — I, II, III ხარისხისა;
ღირსების ორდენი;
მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;
მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;
ღირსების მედალი.

2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების დებულება.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტოს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დასამზადებლად ხარჯების გამოყოფის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის შესაბამისად შეიქმნას სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მუდმივი ორგანოს სახით მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

თენგიზ სიგუა — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი;
რომან გოცირიძე — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;
ზურაბ კერვალიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;
თენგიზ კიტოვანი — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, თავდაცვის მინისტრი;
ავთანდილ მარგიანი — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;
გიორგი კვესიტაძე — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი;
კახი პოპიაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;
ავთანდილ სილაგაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი;
ალექსანდრე ჩიკვაიძე — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;
მიხეილ ჯიბუტი — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი, 1992 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის შესაბამისად შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატი — საქმეთა მმართველობა.

2. დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველად **გურამ ბერიძე**.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველს გ. ბერიძეს ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მუშაობის რეგლამენტი, საქმეთა მმართველობის სტრუქტურა და დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი, 1992 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

დაინიშნოს მიხეილ ჩიკვილაძე საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

დაინიშნოს **ზურაბ დვალი** საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ.

დაინიშნოს **ავთანდილ იმნაძე** საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ.

დაინიშნოს **როლანდ მულაძე** საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროა, ხმა ავიმაღლოთ უსირცხვილო სიცრუის პასუხად!

(დასასრული)

წამოჭრილიყო. რუსებიც, ქართველებიც და ყველა სხვა ხალხები თანაბარ პირობებში იმყოფებიან და ერთი საზრუნავით ცხოვრობენ.

მაგრამ, ყოველგვარ მოთმინებას აქვს საზღვარი. ოფიციალური რუსეთი სულ უფრო აქტიურად გვახვევს თავს თავის ტონს, მოითხოვს „ინსინუაციების" შეწყვეტას და „ეთნიკური რუსების დაცვას".

თუ რა სახის შეიძლება იყოს ეს დაცვა, ამაზე გულახდილად გამოთქვა თავისი აზრი ამასწინანდელ სესიაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. პასტუხოვმა: „დროა დავიცვათ აფხაზეთში მცხოვრები თითქმის 100 ათასი რუსის, და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნახევარი მილიონი რუსის სიცოცხლე". „ჩვენ,— თქვა შემდეგ მინისტრის მოადგილემ. — უნდა გამოვიყენოთ ზეგავლენის ყველა საშუალება, თითი დავუქნიოთ და ჩვენი მჭიდის ძალაც ვანახოთ".

მხოლოდ ასე, და არა სხვაგვარად. ისე, როგორც თავის დროზე მოლდოვეთში მოხდა.

სწორედ ამ მიზეზით გახდა ახლა აუცილებელი მოგმართოთ თქვენ და, უწინარეს ყოვლისა, ვკითხოთ ჩვენს რუს თანამოქალაქეებს: რა ხსნაზე ან რა გენოციდზე ლაპარაკობენ მაინც? იქნებ დროა, ხმა ავიმაღლოთ უსირცხვილო სიცრუის პასუხად: მაშ რაღა უნდა ვთქვათ საკუთარ სამშობლოში დევნილ ათასობით ქართველზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე ბარბაროსულად დახოცილ ათობით მშვიდობიან მცხოვრებზე?

თავად ისტორიამ განაპირობა და ბედმა ინება, რომ საქართველო მშობლიური სახლი გამხდარიყო ასიათასობით რუსისათვის, ისე როგორც მრავალი სხვა ეროვნების ადამიანებისათვის. ჩვენ ვალდებული ვართ პასუხისმგებლობა ვიკისროთ და ვკისრულობთ კიდეც იმისათვის, რომ თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ ყველას, რადგან სამოქალაქო საზოგადოების საძირკველი, რომელსაც ვაშენებთ, იქნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზენაესობა. რაც სრულად შეესაბამება საერთაშორისო აქტებს. ამ პრიორიტეტის გარანტიას ვიძლეოდით, როცა მსოფლიო გაერთიანებაში შევდიოდით.

მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი. საერთო ძალისხმევით მოვაწყოთ ჩვენი სახლი იმათთან ერთად, რომელმაც გააკეთა არჩევანი და საქართველოში პოვა სამშობლო, ნათესაობა და მეგობრები, ვინც ქართველ ხალხთან ერთად იზიარებს მის ყველა გასაჭირს, და მაშასადამე მომავლისათვის საერთო პასუხისმგებლობასაც.

გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ხედავს და აფასებს კეთილ ურთიერთობას, ვინც სოლიდარობას გვიცხადებს, ვინც არ წამოეგო პროვოკაციებს, მხარში ამოგვიდგა, გაერთიანდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მრავალ საზოგადოებრივ მოძრაობაში სამართლიანობის, და მაშასადამე, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს დაცვისათვის.

ამ საერთო გზაზე ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებაა აღმართული, ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი არსებობს, რომლებიც ხელს უშლის ჩანაფიქრის უფრო მტკიცე და მიზანმიმართულ განხორციელებას. მაგრამ გვწამს ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების უკეთესი მერმისისა.

ჩვენ ვაპირებთ მშვიდობითა და თანხმობით ვიცხოვროთ ყველა მეზობელთან და, რაღა თქმა უნდა, რუსეთთან. ამიტომაც ყოველთვის ვიყავით და ვართ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში სხვა მემკვიდრეობითობის — კულტურული კავშირების, სულიერი ურთიერთობის, ინტელექტუალური და საქმიანი თანამშრომლობის, ყოველივე იმის მემკვიდრეობითობის მომხრე, რომელიც რუსეთისა და საქართველოს საუკეთესო შვილების ნაანდერძევი ტრადიციებით არის ნაკურთხი ისტორიულად.

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ დღეს, როცა არსებითად ომის მდგომარეობაში ვართ, მოვუწოდებთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამსახურში მყოფ რუსეთის მეომრებს ახლავე პასუხისმგებლობით გააკეთონ არჩევანი, და, თუ სურვილი ექნებათ, ჩადგნენ საქართველოს არმიის რიგებში, ახლა რომ იქმნება. სადაც მათ ყველა საჭირო პირობა შეექმნებათ.

საქართველოს თავისი სახელმწიფოებრიობის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არასდროს პირველს არ გამოუცხადებია ომი, არასდროს არ უძებნია მტრები და არავისთვის არ უთქვამს უარი თავშესაფარზე, სითბოსა და მასპინძლობაზე. ასეთია, საბედნიეროდ, ზოგჯერ კი მისთვის საუბედუროდ. ამ ქვეყნის ხასიათი, მისი გენეტიკური მენტალიტეტი. ასეთი იქნება იგი კვლავაც ყველასთვის, ვინც ჩვენთან მშვიდობით მოვა.

ე. შევარდნაძე.

1992 წლის 25 დეკემბერი

პარლამენტი ნაყოფიერად მუშაობს

(დასასრული)

მედლები — „მხედრული მამაცობისათვის", „საბრძოლო დამსახურებისათვის" და „ღირსებისა".

დღეს მთელი საქართველოსათვის, ყველა რაიონისათვის, სოფლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საკითხი. იმ რაიონებში, რომლებსაც პატრონი ჰყავთ, კარგი გაგებით, ვითარება ასე თუ ისე ნორმალურადაა, მიუხედავად ესოდენ გაჭირვებული ყოფისა. მაგრამ არის რაიონები, სადაც მოსახლეობა მხარს არ უჭერს გამგებლებს და ამიტომ იქ ვითარება ერთობ სერიოზულია. ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებისათვის საქართველო ჯერ მზად არ არის. არადა, როგორც საკონსულტაციო შეხვედრებზე ითქვა, საჭიროა ზოგიერთი ხელმძღვანელის შეცვლა. ამიტომაც პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებამდე რაიონების, ქალაქების გამგეობათა თავმჯდომარეებს დანიშნავს სახელმწიფოს მეთაური და ეს ეცნობება პარლამენტს.

24 დეკემბრის საღამოს სხდომა სამხედრო მდგომარეობის შესახებ კანონპროექტის მეორე კითხვას დაეთმო. ათმუხლიან კანონპროექტში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს, მისი პარლამენტისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის როლი და მოვალეობანი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში შეიქმნება ისეთი ვითარება, რომლის დროსაც აუცილებელი გახდება სამხედრო მდგომარეობის შემოღება. როგორც წესი, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

ამ კანონის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რეგიონში აცხადებს სამხედრო მდგომარეობას ან ადასტურებს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას. იმ შემთხვევაში, თუ ამ მდგომარეობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური აცხადებს. ამის შესახებ არაუგვიანეს სამი დღისა, მას შეაქვს საკითხი პარლამენტის სხდომაზე განსახილველად. გადაწყვეტილების დადებითად მიღების შემთხვევაში მოსახლეობას უნდა ეცნობოს რადიოთი, ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, არაუგვიანეს 12 საათისა.

მიუხედავად მისი აქტუალობისა, კანონპროექტმა პარლამენტარების დიდი მღელვარება გამოიწვია. ძირითადად ოპონენტები შიშობდნენ, რომ ამ კანონს, თუ ის ამოქმედდება, არ მიეყვანა საქართველო სამხედრო დიქტატურამდე. თუმცა თვით კანონი ითვალისწინებს ამის საწინააღმდეგო დამცველ მექანიზმს. პარლამენტართა შენიშვნები გაითვალისწინეს და ზოგიერთი შესწორებების შემდეგ კანონი მიიღეს.

გადაწყდა, საქართველოს რესპუბლიკის „სამხედრო მდგომარეობის კანონი" — სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს პრესაში გამოქვეყნებისთანავე.

საკმაოდ დიდი დრო დაუთმო პარლამენტმა სამხედრო პროკურატურის კანონპროექტის განხილვას. უამრავი წინადადებიდან ყველაზე აქტუალურების კანონპროექტში შეტანის შემდეგ, იგი მიიღეს. ეს კანონი მძლავრი იარაღი იქნება შეიარაღებულ არაკანონიერ ფორმირებებთან, სამხედრო დანაშაულობებთან ბრძოლის საქმეში.

როგორც წესი, პარასკეობით არ იმართებოდა პარლამენტის სხდომები. ეს დღე ეთმობოდა საპარლამენტო კომისიების მუშაობას. მაგრამ პარლამენტის სპიკერის ვახტანგ გოგუაძის განცხადებით, დრო არ ითმენს, მისაღებია უამრავი კანონი და ამიტომ 25 დეკემბერს პარლამენტმა ჩვეულებრივი რეჟიმით იმუშავა. დილის სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ და თენგიზ კიტოვანმა.

ორივე მინისტრმა უპასუხეს პარლამენტართა მრავალრიცხოვან შეკითხვას. ისინი არა მარტო პარლამენტის წევრებს, არამედ სრულიად საქართველოს აღელვებს. აღინიშნა, რომ რუსეთის პარლამენტი ხელოვნურად ქმნის საქართველოში მცხოვრები რუსი მოსახლეობის ეგრეთ წოდებულ პრობლემას. პარლამენტის წევრებმა, თვით ა. ჩიკვაიძემ დაასახელა იმის კონკრეტული ფაქტები, თუ რა აღშფოთებას გამოთქვამს ამის გამო საქართველოს რუსი ეროვნების ათასობით მოქალაქე, რომლებიც მზად არიან საპროტესტო აქციებსაც კი მიმართონ.

პარლამენტის სხდომამ გვიანობამდე გასტანა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები
ლ. გაგუა.
ნ. თათრულაიძე.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

უმჯობესდება მართვის სტრუქტურა

28 დეკემბერს შედარებით ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, კვლავ შეიკრიბა საქართველოს მინისტრთა კაბინეტი. მისი პირველი სხდომის შემდეგ ეს შესვენება იმით იყო გამოწვეული, რომ რესპუბლიკის პარლამენტს უნდა მიეღო მინისტრთა კაბინეტის კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, მის შემადგენლობასა და სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და კომპეტენციას, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობას და ა. შ. და აი, მეორე დღესვე, როგორც კი ასეთი კანონი მიღებული და სამოქმედოდ შემოღებული იყო, მინისტრთა კაბინეტმა მოიწვია თავისი მორიგი სხდომა.

სხდომის გახსნისას რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ აღნიშნა, რომ ახალი კანონი ფართო შესაძლებლობებს აძლევს მთავრობას თავისი საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის, სამმართველო აპარატის სრულყოფისათვის. კერძოდ, ყოველ მინისტრს, კომიტეტის თავმჯდომარეს, ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელს, ამიერიდან უფლება ეძლევა, თვითონ ადგენდეს თავის გუნდს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე სხდომაზე აღიძრა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების პირველ მოადგილეთა ინსტიტუტის საკითხიც. აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა გააუქმონ ეს ინსტიტუტი და მხოლოდ ცალკეულ სამინისტროებში, განსაკუთრებულ შემთხვევებში დატოვონ იგი, თუ ამას დაეთანხმება მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი.

ბატონ თენგიზ სიგუას წარდგინებით, ჩამოყალიბდა პრეზიდიუმის შემადგენლობა, დამტკიცდა აგრეთვე მინისტრთა კაბინეტისა და მისი პრეზიდიუმის მუშაობის რეგლამენტი.

სხდომის დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო საკითხი იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში აშენდა სტიქიის გამო დაზარალებული აჭარის ზოგიერთი სოფლის მოსახლეობისათვის, გადაეცეთ მეწყერის შედეგად დაზარალებული საჩხერის რაიონის სოფელ ქარძმანის მცხოვრებლებს. იმის გამო, რომ აჭარის სოფლების ოჯახებმა უკვე შეიძინეს მზა საცხოვრებელი სახლები, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მინისტრთა კაბინეტმა მიიღო სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს წინადადება და გადაწყვიტა, მათთვის განკუთვნილი 21 სახლი გადასცეს უსახლკაროდ დარჩენილ ქარძმანელებს.

განიხილეს აგრეთვე საკითხი, რომ გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისა და ფასიანი სასწავლებლების სტუდენტებისათვის პურის კომპენსაციის გაცემის წესი. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ეს კომპენსაცია მათ უნდა მიეღოთ თავიანთ სკოლებსა და სასწავლებლებში. მაგრამ წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები, რამაც მოითხოვა ახალი მექანიზმის შემუშავება კომპენსაციის გაცემის ორგანიზაციის საქმეში. მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის თანახმად კომპენსაცია გაიცემა მოსწავლეთა ერთ-ერთი მშობლის მუშაობის ადგილას საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად. ყველა სხვა შემთხვევაში პურის კომპენსაციას გასცემენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები საცხოვრებელ ადგილზე.

მინისტრთა კაბინეტმა შექმნა რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს შემადგენლობაში რკინიგზის ტრანსპორტის, საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტის, საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტები. გადაწყვიტა ამ სამინისტროს შემადგენლობაში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად შეიყვანონ სპეციალური ტრანსპორტის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სპეცტრანსი" თბილისის მეტროპოლიტენი და თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხებიც.

აღორძინების პროგრამების განსახორციელებლად

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრიორიტეტული პროგრამების განსახორციელებლად ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და მათი რეალიზაციის სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა საზღვარგარეთული ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვისა და რეალიზაციის სახელმწიფო საკოორდინაციო კომისია.

კომისიას თავმჯდომარეობას გაუწევს ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
მმართველობის ადგილობრივი ორგანოების (რაიონების, ქალაქების) გამგეობათა თავმჯდომარეების დანიშვნის დროებითი წესის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებამდე სახელმწიფოს მეთაური განსაზღვრავს რაიონებისა და ქალაქების გამგეობათა თავმჯდომარეების კანდიდატურების შერჩევისა და განხილვის წესს, ნიშნავს მათ და ამის შესახებ აცნობებს პარლამენტს.
2. ეს კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„სამხედრო პროკურატურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„სამხედრო პროკურატურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„სამხედრო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„სამხედრო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 დეკემბერი.

მის უწმიდესობას და უნეტარესობას ილია II-ს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ,

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტისა და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა თქვენი ინტრონიზაციის დღესთან დაკავშირებით.

გისურვებთ ჯანმრთელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ და გამოვითხოვთ თქვენს ლოცვა-კურთხევას ჩვენი კომიტეტის სამომავლო მუშაობისთვის საქართველოში სამართლიანობის, ერთა მეგობრული თანაარსებობისა და საყოველთაო მშვიდობის დასადგურების საქმეში.

ღრმა პატივისცემით

ალექსანდრე კავსაძე.

25 დეკემბერი, 1992 წ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების
დებულება

1. საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებული პირადი წვლილი მიუძღვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები — ორდენები და მედლები:

დავით აღმაშენებლის ორდენი;
ვახტანგ გორგასლის ორდენი — I, II, III ხარისხისა;
ღირსების ორდენი;
მედალი „მხედრული მამაცობისათვის";
მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის";
ღირსების მედალი.

2. დავით აღმაშენებლის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის.

3. ვახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები.

ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა. დაჯილდოება ხდება ასეთი თანამიმდევრობით:

III ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის.

II ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის.

4. „ღირსების" ორდენით ჯილდოვდებიან მოქალაქენი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში — მმართველობის, თავდაცვის, კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგებში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული წვლილისათვის, გმირობისა და თავდადებისათვის.

„მხედრული მამაცობის" მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურეები. პოლიციის მუშაკები მამულის დაცვისას პიროვნული მამაცობისა და მხედრული ვალის შესრულებისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის.

6. „საბრძოლო დამსახურების" მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი და სამოქალაქო პირნი სამშობლოს დაცვისა და ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული პიროვნული დამსახურებისათვის.

7. „ღირსების" მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საქართველოს აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის.

საახალწლო ვაჭრობას — მაქსიმალური ორგანიზებულობა

24 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, თბილისისა და მისი რაიონების ხელმძღვანელებს. განიხილეს თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში წინასაახალწლო ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხები. შეხვედრაზე ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრმა მურთაზ ზანქალიანმა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ რეზო კონცელიძემ, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა გიორგი კვესიტაძემ, პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტმა ომარ კაციტაძემ, თბილისის ვიცე-მერმა ჯემალ ზამბახიძემ და სხვებმა.

აღინიშნა, რომ ახალი წლისწინა დღეებში რესპუბლიკის დედაქალაქში სარეალიზაციოდ დამატებით შემოიტანენ ხორცს, ცხიმეულს, ხილს, ციტრუსს, მინერალურ წყალს, ღვინოს, მაკარონის ნაწარმს და სხვა პროდუქტებს. მაღაზიების გარდა, ვაჭრობა გაიმართება ქალაქის სხვადასხვა რაიონებში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმას, რომ ამ დღეებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო თბილისის, არამედ, აგრეთვე, სხვა ქალაქების მოსახლეობის სურსათით მომარაგებას, კონფლიქტის ზონაში მყოფი ჩვენი მებრძოლების უზრუნველყოფას საჭმელ-სასმელით, ტანსაცმლით და სხვ.

მძიმე დღეები უდგას ახლა საქართველოს, დეფიციტი ლამის ჩვენი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად იქცეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ითქვა შეხვედრაზე, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსახლეობა უზრუნველვყოთ თუნდაც იმ მინიმუმით, რაც მას საშუალებას მისცემს, გულგაუტეხელი შეხვდეს ახალ წელს.

დოკუმენტი, რომელიც თითოეული ჩვენგანისაგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს

გვესაუბრება საქართველოს
რესპუბლიკის იუსტიციის
მინისტრი
კონსტანტინე კემულარია

დაიბადა 1954 წელს ხობის რაიონში. 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს განაწილებით დაიწყო მუშაობა ქ. სოხუმის პროკურატურაში. ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს ქუთაისის პროკურატურის უფროს გამომძიებლად. 1978-80 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში. 1980-83 წლებში სწავლობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. შემდეგ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1987 წელს დაინიშნა ქალაქ ქუთაისის პროკურორად. 1991 წელს გადმოიყვანეს ჯერ რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების გამგის მოადგილედ, მომდევნო წელს კი დააწინაურეს სისხლის სამართლის სამმართველოს უფროსად. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჩვენი გაზეთის ბოლოდროინდელი ტრადიციული რუბრიკა — „სამი შეკითხვა ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს", რომლითაც პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ახალ მინისტრებსა თუ კომიტეტებისა და დეპარტამენტების თავკაცებს წარვუდგენთ ხოლმე მკითხველთ, ამჯერად ნაწილობრივ შეიცვალა. და ეს ცვლილება დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებასთან, „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სამხედრო აღმშენებლობის გადაუდებელი ღონისძიებებისა და იარაღისა და საბრძოლო მასალების კონტროლის გაძლიერების შესახებ", რომელიც ახლახან გამოქვეყნდა პრესაში. უწინარესად სწორედ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის ძირითადი მოთხოვნებისა და არსის განმარტება ვთხოვეთ ბატონ კონსტანტინე კემულარიას.

— ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება მხოლოდ არმიის საქმე რომ არ არის და მარტოოდენ მეომართა უდიდეს ძალისხმევა-თავგანწირვას რომ არ მოითხოვს, — თქვა მან, — ეს ამ დადგენილების პირველ პუნქტშიც გახლავთ ხაზგასმული. — ამდენად თითოეულსა და ყველას, საქმიანობის სფეროს მიუხედავად, ჩვენ-ჩვენს უბნებზე განსაკუთრებული დისციპლინა, პასუხისმგებლობა და მობილიზება გვმართებს.

ეს დადგენილება იმით არის განსაკუთრებით საგულისხმო, რომ შეუქცევადს გახდის ერთიანი, ერთ სარდლობას დაქვემდებარებული არმიის შექმნის პროცესს, რომელიც ამჟამად ასე ძალიან გვჭირდება. ამით პრაქტიკულად ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა შეიარაღებული ფორმირების წევრებს, აგრეთვე საბრძოლო მოქმედების ზონებში მყოფ მოხალისეებს უფლება ეძლევათ გაერთიანდნენ ერთიან არმიაში. თანაც არა მარტო ეძლევათ ამის უფლება, უბრალოდ ვალდებულიც არიან 25 დეკემბრამდე გააკეთონ ეს და დადონ ფიცი. რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებსა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს დაევალათ გააკონტროლონ, თუ როგორ სრულდება ამ მხრივ დადგენილების მოთხოვნები. ყველა ის სამხედრო ფორმირება და მათი წევრები კი, რომლებიც არ შევლენ შეიარაღებული ძალების რიგებში, როგორც დადგენილების მეორე პუნქტშია აღნიშნული, უკანონოდ ცხადდებიან და პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

— კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში და რა სახის სასჯელი შეიძლება შეეფარდოთ ამგვარი ფორმირებების წევრებს?

— 25 დეკემბრის შემდეგ ყველა ასეთი პიროვნება, თუ მას მანამდე არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული, დაისჯება იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარება-გადატანისთვის. გარდა ამისა, ჩვენ პარლამენტში ახლახან წარვადგინეთ კანონპროექტი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნისთვის პასუხისმგებლობის შესახებ. პარლამენტმა პირვანდელი რედაქციით იგი არ მიიღო. ახლა ვმუშაობთ მისი სხვა სახით ჩამოყალიბებისთვის, და უახლოეს დღეებში კვლავ წარვადგენთ პარლამენტში. მისი მიხედვით უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნა-ორგანიზებისა და მათში გაწევრიანების ფაქტიც კი, თუნდაც მათ წევრებს არავითარი დანაშაულებრივი განზრახვაც არ ჰქონდეთ, თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება და დაისჯება. სისხლის სამართლის კოდექსს საამისოდ დაემატება 238^{1} მუხლი.

— ბატონო კონსტანტინე, დადგენილების გამოქვეყნებისთანავე რედაქციაში დარეკა რამდენიმე მოქალაქემ, მათ შორის ერთმა პოლიციის მუშაკმაც და გვთხოვეს განგვემარტა ამ დოკუმენტის ზოგიერთი მუხლი, რომლებიც მათი აზრით, გაუგებარია და დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, ზემოაღნიშნულ ორგანოს მუშაკს მხედველობაში ჰქონდა მეექვსე მუხლი, რომლის მიხედვითაც გაუქმებულად ითვლება დღემდე გაცემული ყველა სახის იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის, ტარების, გადატანის, გადაზიდვისა და გადაგზავნის უფლება.

— ასეთი სიგნალები ჩვენთანაც მოდის. არადა, მეექვსე მუხლში ლაპარაკია იმ მოქალაქეებსა და უწყებებზე, რომლებსაც სათანადო ორგანოებმა უნდა მისცენ იარაღის ტარების, შენახვისა თუ გადაზიდვის უფლება. აქ არ არის ნაგულისხმევი თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, აგრეთვე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკები, რომლებსაც იარაღის ტარების უფლება სამუშაოზე მიღებისთანავე ავტომატურად ეძლევათ და ამას მათ არც არავინ აუკრძალავს. სხვა დანარჩენი კატეგორიის ადამიანებმა კი 30 დეკემბრამდე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით უნდა მიმართონ შინაგან საქმეთა ორგანოებს იარაღის ხელახალი რეგისტრაციისა და მათი ტარების უფლების მიღებისთვის.

— კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ. ლაპარაკია სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების ხელთ არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის საბაზრო ფასების გათვალისწინებით შესყიდვისა და იარაღის ნებაყოფლობით ჩამბარებელ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ. ისინი გვეკითხებიან, როგორ განისაზღვრება საბაზრო ფასები და, რაც მთავარია, რას ეფუძნება მოსახლეობისადმი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიმართვის ის ნაწილი, რომელიც იძლევა სრულ გარანტიას, რომ დაცული იქნება იარაღის მფლობელთა ანონიმურობა და საერთოდ არ დადგება მისი ნებაყოფლობით ჩამბარებელთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. თუ არსებობს რაიმე საკანონმდებლო აქტი ამის თაობაზე?

აქტუალური ინტერვიუ

— რაც შეეხება მოქალაქეთა ხელთ არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის საბაზრო ფასების გათვალისწინებით შესყიდვის წესის განსაზღვრას, ამაზე დადგენილების მეორე პუნქტის თანახმად მუშაობენ რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები. კითხვის მეორე ნაწილთან დაკავშირებით კი გიპასუხებთ, რომ იარაღის ნებაყოფლობით ჩამბარებელ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სრულ გარანტიას იძლევა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 238-ე მუხლში ეს პირდაპირ არის მინიშნებული. ასე იყო ყოველთვის.

— შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან და მოხალისეებთან კონტრაქტის დადების წესისა და მათი მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ რას გვეტყოდით?

— მათთან კონტრაქტების დადების წესი უკვე შემუშავებულია და მის მიხედვით გაფორმდება სპეციალური ვადიანი ხელშეკრულებები იმ შეიარაღებული ფორმირებების წევრებთან და მოხალისეებთან, ვინც გამოთქვამს სურვილს იმსახუროს არმიაში.

ამასთანავე ახლა მუშავდება საერთოდ სამხედრო სამსახურის ერთიანი წესები, რისთვისაც თავდაცვის სამინისტროსთან ერთად ჩვენი სამინისტროს მუშაკებიც მუშაობენ პარლამენტის იურიდიულ კომისიასთან მჭიდრო კონტაქტით. ეს არის პაკეტი კანონებისა, რომელშიც სამხედრო სამსახურის ყველა ნიუანსია გათვალისწინებული და სულ მალე წარედგინება პარლამენტს განხილვა-მიღებისათვის. მაგრამ რაკი კონტრაქტების გაფორმების წესი შემუშავებულია, დღესვე შეიძლება მსურველებთან ვადიანი ხელშეკრულებების დადება და მათთვის შესაბამისი თანხის გადახდის საკითხის გადაწყვეტა.

— არის კი განსაზღვრული და საბოლოოდ დაზუსტებული ამ თანხის ოდენობა?

— ჯერჯერობით არა. ამას ფინანსთა სამინისტრო აზუსტებს და თანხის ოდენობაც ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით ცნობილი გახდება მოსახლეობისათვის. თუ გავითვალისწინებთ მეზობელი სახელმწიფოების, კერძოდ, რუსეთის გამოცდილებას, სადაც უკვე შემოღებული აქვთ საკონტრაქტო სისტემა, იქ რიგით ჯარისკაცს თვეში ეძლევა სამიდან ექვს ათასამდე მანეთი, უმცროსი ოფიცრების თვიური ანაზღაურების მაქსიმუმი კი 18.500 მანეთია.

— დადგენილებით თქვენს სამინისტროს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, რესპუბლიკის პროკურატურის მონაწილეობით დაევალა მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე შეიმუშაოს და პარლამენტს განხილვა-დამტკიცებისათვის წარუდგინოს მთელი რიგი კანონპროექტები. როგორია მდგომარეობა ამ მხრივ?

— რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ ჩვენს მიერ წარდგენილი კანონი, როგორც გეცოდინებათ, პარლამენტმა უკვე მიიღო. პირველი წაკითხვით მიღებულია კანონიც სამხედრო მდგომარეობის წესისა და რეჟიმის, საგანგებო წესების შესახებ. კომისია ინტენსიურად მუშაობს კანონპროექტზე შეიარაღებული ძალების, სამხედრო მოვალეობის და სამხედრო სამსახურის შესახებ და მალე წარუდგენს პარლამენტს. სამხედრო პროკურატურის შესახებ ასეთივე დოკუმენტი უკვე მზად არის, იურიდიულ კომისიაშია და უახლოეს მომავალში მოხვდება პარლამენტის მუშაობის დღის წესრიგში. ასევე დადგენილ ვადებში წარედგინება პარლამენტს კანონპროექტებიც მხედრული ფიცის, სამხედრო ფორმისა და საბრძოლო დროშის შესახებ და იარაღის შესახებ.

— თქვენს სამინისტროს დადგენილების შესაბამისად დავალებული აქვს იმ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც განსაზღვრავენ სამხედრო აღმშენებლობის საკითხების სამართლებრივ უზრუნველყოფას. სულ ახლახან კი პარლამენტმა არ დაამტკიცა ამ საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წინადადება. თქვენი აზრით, რა არის ეს — სამინისტროს მუშაობის წუნი თუ სხვა რამ?

— წუნისა და ნაკლოვანებებისაგან სრულად დაზღვეული, ცხადია, არა ვართ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩემი ღრმა რწმენით, ამას არ განუპირობებია პარლამენტის გადაწყვეტილება. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას რა თქმა უნდა, წინ ვერ აღვუდგები, მაგრამ ვერც საკუთარი აზრის ქონება-გამოთქმას ამიკრძალავს ვინმე.

ეს აზრი კი ასეთია: ვფიქრობ, შეცდნენ პარლამენტის ის წევრები, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს ჩვენს წინადადებას. ის ალტერნატიული სასჯელის სახეობად სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში იმ დაქირავებულ გადამთიელთა ქმედებისათვის, რომელსაც მოჰყვება ადამიანთა მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი. პარლამენტართა ერთმა ნაწილმა კი ეს დამატება აღიქვა, როგორც საერთოდ სიკვდილით დასჯის მოთხოვნა და მხარი არ დაუჭირა მას. არადა, იგი საჭირო იყო.

ესაუბრა
რუსლან რუსია.

მოვითხოვ!

სასჯელი უმკაცრესი უნდა იყოს!

ნანა დავითაშვილი.

ომია დღეს საქართველოში, სამამულო ომი...

ყოველ საღამო ტელედიქტორები მწუხარე ხმით გვაცნობენ სამშობლოსათვის ჩაფერფლილ ლამაზ-ლამაზ ვაჟკაცებს... ყოველდღე იჭრება ახალ-ახალი საფლავები, — ზოგიც უსაფლაოდ გვეკარგება...

მოწიწებით თავს ვხრით მათი გულმკვდარი დედების წინაშე...

...მაგრამ რა ვუთხრათ, როგორ მივმართოთ იმ დედებს, რომელთა შვილებმაც—19 წლის ირინა შალამბერიძემ და 24 წლის მედეა ლონდარიძემ თბილისში, მეტროს სადგურთან სასიკვდილოდ დაჭრეს 29 წლის ზურაბ დოლიძე, სამი შვილის მამა?

თანაც, როდის? — საქართველო რომ სისხლად იცლება აფხაზეთში!

თანაც, რისთვის? — თურქული ტყავის ქურთუკისათვის!

წესიერად აღზრდილმა 19 წლის ქალიშვილმა უცხო მამაკაცს თვალიც ვერ უნდა გაუსწოროს, ესენი კი... თანაც ორივე მკვლელი დედაა (!).

თავზარდამცემია ის ფაქტი, რომ რამდენი მეომარიც აფხაზეთის მიწაზე ეცემა, იმდენივე ადამიანი თბილისში თუ საქართველოს სხვა კუთხეებში კვდება ბანდიტის ხელით!

დამნაშავეთა ასე „იალაღზე მიშვება" იმანაც განაპირობა, რომ ბოლო წლებში საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ზედმეტი გულმოწყალება გამოიჩინეს მათ მიმართ. ამ საქმეში გარკვეული „დანაშაული" ჟურნალისტებსაც მიგვიძღვის.. სხვადასხვა დროს რამდენჯერმე მომიხდა კოლონიებში შესვლა და იქ, მართლაც ვნახე შემთხვევით მოხვედრილი პატიმრები, რომლებიც ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, თუმცა... მათთან ერთად ბევრი უღირსიც გამოვიდა (!) ამით კი დიდი საფრთხე შეექმნა პატიოსან ადამიანებს. — განსაკუთრებით ქალები გვებრალებოდა: ქალს ციხეში რა უნდა, — გავიძახოდით გულუბრყვილოდ... მაგრამ ახლა, ჩემი მეგობარი ქალების სახელით, თხოვნით მივმართავ სათანადო ორგანოებს, რათა უმკაცრესად დასაჯონ ზურაბ დოლიძის მკვლელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია უპირველეს ყოვლისა

შოთა ნიშნიანიძე

ბალადა ჯარისკაცზე

ის ამღერებდა თავის ავტომატს
გიტარასავით... გიტარასავით...
იგი წავიდა ღამით მარტოკა
მტრის ზურგში ღამით, ცოტა ნასვამი.

სახლში დატოვა ოთხი მგლის ლეკვი
ოთხ მოურჩენელ იარასავით.
სახლში დატოვა პატარა ცოლი
ოთხსიმიანი გიტარასავით.

იგი წავიდა სიკვდილზე ნაღდზე,
მაგარი ბიჭი — პიტალო სალი.
და ის აფეთქდა იმ ღამით ნაღმზე,
ანუ დაიმსხვრა გიტარასავით.

როგორც გიტარას უყვარს სიმები,
უყვარს სიმღერა ცრემლით ნასეტყვი,
ისე უყვარდა იმ ბიჭს სიცოცხლე
და საქართველო
და აფხაზეთი.

1992 წ.

თარაშ ემხვარი

აღარ მკოცნის...

თარაშ ემხვარი აღარ მკოცნის... ვისი დანაშაულია?
ახ, გენერალმა მომიწამლა — „ლიხნში“ არაყი ჩაურია.
ემხვარს გონება დიდად უჭრის, მაგრამ რა უცნაურია:
გენერალმა და გენერალმა და გენერალშამ აურია.
ჩემო ტკივილო და სიყვარულო,
ქართულ-აფხაზურო სამანებო,
თქვენც არ მომიკვდეთ, თქვენი თავი
გადამთიელებს დავანებო.
ისტორიაც და მომავალიც საერთო ბედით გასკვნილია.
ამ ცის და მიწის მბრძანებელი ამირანი და აბსრკილია.
ახ, ბატონო და ქალბატონო,
შერვაშიძეთა უფლისწულო,
წინაპარივით ძველებურად ნათელ-მირონზე თუ
ფიცულობთ?
1982-92 წ.

რეპლიკა ცხელ კვალზე

„გლადიატორების ბრძოლის“ გამო

გრიგოლ აბაშიძე

ა. წ. 28 დეკემბერს მოსკოვის ტელევიზიამ მაყურებელს შესთავაზა აფხაზეთის და საქართველოს დიალოგი. დიალოგი უხვად იყო ილუსტრირებული საომარი მოქმედების შედეგების ცალმხრივად ამსახველი ფილმით, რომელშიაც ნაჩვენები იყო ცეცხლწაკიდებული სახლები, სამკვიდროდან აყრილი ლტოლვილები.

დიალოგის მონაწილე აჩბამ მოპირდაპირე მხარეს ბრალი დასდო აფხაზეთის ოკუპაციაში და რომ მის ნათქვამს წონა მისცემოდა, მოიშველია აკადემიკოს სახაროვის ცნობილი გამონათქვამი, რომელშიაც მან საქართველო იმპერიად გამოაცხადა.

დღემდე ყოველგვარ საფუძველს მოკლებული სახაროვის ეს განცხადება არავის გაუხდია მსჯელობის საგნად და მეც ეს რეპლიკა ამ გარემოებამ დამაწერინა. მე დიდ პატივს ვცემ აკადემიკოს სახაროვის ღვაწლსა და დამსახურებას დემოკრატიული რუსეთის გამოღვიძებაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ფრაზა მას ისე „წამოსცდა“, რომ არც საქართველოს ისტორიაში ჩაუხედავს და არც სათანადო დასაბუთებით გაუმაგრებია ბრალდება.

„იმპერია“ — ყველა ენციკლოპედიასა და ლექსიკონში განმარტებულია როგორც ლათინური სიტყვა — მბრძანებელი ხელისუფლება; იმპერია ეწოდება კოლონიურ სახელმწიფოს, რომელსაც სათავეში უდგას იმპერატორი და რომელსაც დაპყრობილი ჰყავს სხვა ხალხები.

საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არც სხვა ქვეყნები დაუპყრია და არც იმპერატორი ჰყოლია.

სამი ათას წელზე მეტხანს მამაპაპისეულ საკუთარ მიწა-წყალზე ცხოვრება დაპყრობად ჯერ არავის მოუნათლავს.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთთან დამოკიდებულება სრულიად სხვა ურთიერთობას განეკუთვნება და მსგავსი იარლიყის მისაკერებლად არავითარ საფუძველს არ იძლევა.

ტელეგადაცემის ცხელ კვალზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ე. შევარდნაძემ ამ ტელედიალოგს ხატოვნად „გლადიატორების ბრძოლა“ უწოდა და დღევანდელი რუსეთის მოქმედება ყოფილი საბჭოთა იმპერიის ცხელ წერტილებში ცარიზმის იმ დამსჯელ ექსპედიციებს შეადარა, რომლითაც თვითმპყრობელი რუსეთი ევროპის ხალხების ეროვნულ რევოლუციებს ახშობდა (პოლონეთი, უნგრეთი) და რომლის გამოც მან „ევროპის ხალხთა ჟანდარმის“ სამარცხვინო სახელი დაიმსახურა.

ეს უკანასკნელი ზედწოდება ბატონმა შევარდნაძემ შეფარულად, ფრჩხილების გაუხსნელად მიგვანიშნა, მაგრამ მთელი მსოფლიოსთვის ცხადია, რომ თუ რუსეთი კვლავაც გააგრძელებს და გააღრმავებს ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ, აწ დამოუკიდებელი რესპუბლიკების საქმეებში უხეშ ჩარევას, იგი სულ მალე დაიბრუნებს „ხალხების ჟანდარმის“ ტიტულს.

სხვათა შორის, მოწინავე რუსი ადამიანები ტოტალიტარიზმის მკაცრ პირობებშიც ბედავდნენ რუსი მოღვაწისათვის შეურაცხმყოფელი მთავრობის მოქმედების გამო პროტესტის გამოთქმას.

1968 წელს საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობაზე კონსტანტინე სიმონოვმა ჩეხოსლოვაკიაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის გამო განაცხადა, რომ მას არ შეუძლია სოლიდარული იყოს იმ თანამემამულეებთან, რომელთაც „ევროპის ხალხების ჟანდარმის“ „დაფნის გვირგვინი“ იზიდავთ.

სამწუხაროდ, დღემდე რუსი მწერლები სდუმან და ხმას არ იმაღლებენ რუსი რეაქციონერების იმ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთს უბიძგებენ აღიდგინოს ბევრი სისხლისა და მსხვერპლის ფასად ჩამორეცხილი საძულველი „ხალხთა ჟანდარმის“ სახელი.

ლატვიის ქართველთა სოლიდარობა

ამას წინათ ლატვიის ქართველთა საზოგადოებამ, ლატვია-საქართველოს საქმიანი თანამშრომლობის ასოციაცია „ლიგო-ლილემ“ და საქინფორმის მუდმივმა საინფორმაციო წარმომადგენლობამ ბალტიის ქვეყნებში, რომლებიც საქართველოდან ამოსულთა ინტერესებს გამოხატავენ, შექმნეს საქართველოს თავდაცვის დახმარების სპეციალური ფონდი. ეს აქცია არის პასუხი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვაზე ქვეყნის მცხოვრებლებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა თანამემამულისადმი.

ახალი წლის მიჯნაზე

ალექსანდრე ჩიქვაიძე:

„პატარა სახელმწიფოებს დიდი შეცდომების დაშვების უფლება არა აქვთ!“

(დასასრული)

მოკლედ რომ ვთქვათ, სამინისტროს ჰქონდა ორი მთავარი მიმართულება — პრაქტიკულ-ოპერატიული და ანალიტიკური. ბუნებრივია, რომ ამ მიმართულებათა მკვეთრი გამიჯვნა შეუძლებელია, მაგრამ, თქვენის ნებართვით, მე ჯერ პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ მოგახსენებთ.

ვართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის (ევროთათბირის), იუნესკოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპის ბანკის წევრი. აქტიურად ვმონაწილეობდით შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნაში. პოზიციებს თანდათან ვიმაგრებთ ევროპულ და საერთაშორისო სტრუქტურებში.

მსოფლიო პროცესებში ჩაბმა, რომელთა სამოქმედო მექანიზმებს სწორედ ზემოჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ, ძალზე მნიშვნელოვანია. ცხადია, აქ ლაპარაკია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მონაწილეობაზე და არა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებისა და საზოგადოების შესაბამის პროფესიულ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ადრე ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა. ამჟამად კი დრომ ჩვენთვის მანამდე უცნობი, აუცილებელი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი ისეთი საკითხების წინაშე დაგვაყენა, რომლებიც დაუყოვნებლივ, ამასთან არანაკლები მნიშვნელობის სამუშაოთა პარალელურად უნდა შესრულებულიყო. ეს გახლდათ საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით შესაბამისი დებულებების, წესებისა და კანონების პროექტების მომზადება, მათ შორის კანონისა „უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში“; „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელ მოქალაქეთა სატრანზიტო გასვლის წესები“; „დებულება საქართველოს რესპუბლიკაში საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსულოებისა და სხვა წარმომადგენლობათა შესახებ“ და მრავალი სხვა.

დღემდე საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარა 178-მა ქვეყანამ. დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა 55 სახელმწიფოსთან და ფორმდება ბევრ სხვა ქვეყანასთან. გვეწვია 100-ზე მეტი ოფიციალური დელეგაცია, თუ ცალკეული ოფიციალური პირი.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ვახსენოთ საქართველოდან უცხოეთში მიმავალ ოფიციალურ დელეგაციათა მომზადებაც. ეს გახლავთ ურთიერთობათა თანამედროვე პრაქტიკაში მიღებული ფორმების დაცვა და განხორციელება, რაც მრავალი გარედან უხილავი, მაგრამ მნიშვნელოვანი ელემენტისა და დეტალისაგან შედგება. მათი შესწავლა-ათვისება და დანერგვა მეტად შრომატევადი პროცესია და ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება საგარეო საქმეთა სამინისტროს მცირერიცხოვანი თანამშრომლების დამსახურებაა. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ასეთი სახის ვიზიტებს სხვა სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროებში თვეების მანძილზე ამზადებენ.

არის თუ არა ყოველივე ეს საჭირო? უმჯობესი ხომ არ არის, ჯერ წარმატებით დავამთავროთ ომი, დავაპუროთ და გავათბოთ ხალხი, ვიზიტებსა და საერთაშორისო საკითხებზე კი შემდგომ ვიფიქროთ? — ეს დაეჭვება ერთი შეხედვით ლოგიკას არ არის მოკლებული. მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანებისაკენ ჩვენი ლტოლვა თვითმიზანი არ გახლავთ. ამ სტრუქტურებში ყოფნა, მათ მუშაობაში მონაწილეობა, ხელს გვიწყობს, რომ ამოვისუნთქოთ და ფეხზე დავდგეთ. მით უფრო, რომ დღეს დაუხმარებლად საქართველოს პოტენციალის პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია.

აქამდე უკვე გაკეთდა და კეთდება ის, რომ დასავლეთის მოწინავე ქვეყნები მზად არიან თავიანთი სტრუქტურების მეშვეობით ჩვენს გვერდით დადგნენ, რათა პოლიტიკური მხარდაჭერის პარალელურად ეკონომიკურადაც წელში გავიმართოთ. ასე მაგალითად, საფრანგეთში აქტიურად გვეხმარებიან, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ფული და პასპორტები.

ცხადია, ჯერ ჩვენ შორსა ვართ იმ დონიდან, როდესაც ლაპარაკი შეგვეძლება საზღვრების გახსნაზე, ევროპასთან ერთიანი ვალუტის შემოღებაზე, ერთიან საბანკო სისტემაზე. ყოველივე ეს მომავლის საქმეა. მაგრამ ევროპის სტრუქტურებში გაერთიანება მას ვალდებულებას აკისრებს, გარკვეული ძალისხმევა დახარჯოს ფეთქებადსაშიში რეგიონის დასაწყნარებლად და შესაბამისი, ამასთან არსებითი ეკონომიკური დახმარების გასაწევად. ამიტომ აუცილებელი იყო, რომ ხელი მოვაწერეთ 9 სხვადასხვა ხასიათის 21 ეკონომიკურ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, მათ შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულებას თურქეთთან, სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებებს უკრაინასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, ირანთან, ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, აზერბაიჯანთან.

ლონდონში ამასწინანდელი ვიზიტის დროს დიდ ბრიტანეთთან დავდეთ ხელშეკრულება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ, ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ინვესტიციების დაცვისა და წახალისების, დეკლარაციას — ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ. მომზადების სტადიაშია კიდევ 60-მდე საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის მრავალმხრივი ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასთან.

ურთიერთობა რუსეთთან ერთგვარად თითქოს „თბება“, თუმცა ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მის უზარმაზარ ტერიტორიაზე მრავალი სხვადასხვა მიმართულების ძალა ამოქმედდა, რაც რუსეთის ხელისუფლებას ვითარების სრულად ფლობაში უშლის ხელს. ამის დასტურია თუნდაც ბატონ ანდრია კოზირევის თავისებური მანევრი სტოკჰოლმში, რომელმაც, იმის მიუხედავად, რომ მალევე მოჰყვა მინისტრის მიერვე ამ გამოსვლის უარყოფა, მაინც მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში ფრიად მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ძირითადად სწორედ პროიმპერიალისტურ ძალთა გავლენით უნდა აიხსნას მოსკოვის 3 სექტემბრის შეთანხმების შემდეგ განვითარებული მოვლენები. ამ სამწუხარო ფაქტის მიღმა კი ჩვენი ტკივილია, ჩვენი სისხლი, ჩვენი ტრაგედია, რადგან სამამულო ომი გრძელდება და ბევრი უდანაშაულო სიცოცხლე მიაქვს.

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ დაიწყო დიდი ხელშეკრულებისათვის სამზადისი, რომლის ორი — თბილისისა და მოსკოვის რაუნდი უკვე დამთავრდა. მთელი პირდაპირობით უნდა ვთქვა, რომ ეს ხელშეკრულება არ ემგვანება და არც შეიძლება დაემსგავსოს გეორგიევსკის ტრაქტატს, ან რაიმე სხვა ანალოგიურ დოკუმენტს. ასეთია ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის, ჩვენი პარლამენტისა და მთავრობის ნება და ქართველი დიპლომატები, რომლებსაც ამ ნების განხორციელება გვავალია, შევასრულებთ ჩვენს მისიას. განზრახულია, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა განვითარდეს სრულიად ახალ სამართლებრივ საფუძველზე — წარიმართოს თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობისა და კეთილმეზობლობის გზით.

ვფიქრობთ, აუცილებელია, საგანგებოდ შევჩერდეთ ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობაზე. ეს რეგიონი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. იგი უშუალოდ ემიჯნება საქართველოს, ამასთან, სწორედ ამ რეგიონის ზოგიერთი წარმომადგენელი მოგვევლინა აფხაზ სეპარატისტთა დამცველად.

საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების წარსული ურთიერთობის შესახებ ისტორიკოსები უკეთ იტყვიან, თუმცა ფაქტები ისედაც მეტყველებენ ჩვენი ტრადიციების, ზნეჩვეულებების, ფასეულობათა ერთგვარ ნათესაობაზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აუცილებლად მიაჩნია ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა და მისი განვითარება ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

ამ შემთხვევაში, ალბათ, ეფექტური იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და, საერთოდ, სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობათა მეტი აქტიურობით გამოყენება, რადგან უშუალოდ სამინისტროს ურთიერთობის დიაპაზონი რამდენადმე შეზღუდულია, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური წარმონაქმნები რუსეთის შემადგენლობაში შედიან, მისი ნაწილები არიან და მათთან ჩვენი სამინისტროს კავშირი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით ხორციელდება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის, მისი უმთავრესი პრიორიტეტების შემუშავება კვლევითი პროცესია და ამ თვალსაზრისით სამინისტროს საქმიანობიდან ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ანალიტიკური მასალები: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, საბჭოთა იმპერიის დაშლა და საქართველოს მოდელი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ სისტემაში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ანალიზი თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ნაწილი, რეგიონული პრიორიტეტები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ინსტიტუტები, რელიგიური ფაქტორი რეგიონულ პოლიტიკაში, ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზი.

როდესაც საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზეა საუბარი, გასათვალისწინებელია ის აქსიომა, რომ საგარეო პოლიტიკა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის პირდაპირი განგრძობაა. სწორედ ამის დასტურია მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ ტოკიოს შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დახმარება საბჭოთა კავშირის ყოფილ, ამჟამად კი დამოუკიდებელ რესპუბლიკებს ცალ-ცალკე, მათთან მომხდარი რეფორმების გათვალისწინებით გამოეყოფა.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები გამომდინარეობს ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან და იმ რეალობიდან, რომ ასეთ მნიშვნელოვან რეგიონზე მუდმივად ახდენდა და ახდენს გავლენას მსოფლიოს წამყვანი და ჩვენი მეზობელი დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა. დღეს კი ისიც გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობები დაირღვა, ყოველ წუთში იცვლება, რაც თავის მხრივ სათანადო კორექტირების და აქცენტირების შეცვლის აუცილებლობას იწვევს. ეს უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, რადგან ახლად ჩამოყალიბებულ მსოფლიო მოწყობაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია; დღეს ისეთი ცვლილებები ხდება, ამასთან იმდენად ბუნდოვანია, თუ შემდგომში მოვლენები რა გზით განვითარდება, რომ თვით ამერიკელებიც კი აღიარებენ, „ცივი ომის“ შემდგომ პოლიტიკაში პრიორიტეტები ჩამოყალიბებული არა გვაქვსო.

ერთი რამ მაინც ცხადზე უცხადესია: ჩვენი უპირველესი და ძირითადი მიმართულებაა დასავლეთზე ორიენტაცია, ამასთან მეზობლებთან და, საერთოდ, რეგიონში აქტიური პოლიტიკა.

რადგან მეზობლებთან ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება უკრაინასთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან დამოკიდებულებაზე.

უკრაინასთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის მეურნეობისათვის საჭირო ალტერნატიული ვარიანტია. ამასთან უკრაინა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში ჩვენი ერთ-ერთი პარტნიორია. ერთობლივი ინტერესები გვაკავშირებს შავი ზღვის ფლოტის მიმართაც.

ჩვენს უახლოეს მეზობლებთან — სომხეთსა და აზერბაიჯანთან დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს დამყარებული და ვთვლით, რომ მათთან მეგობრული დამოკიდებულება ამიერკავკასიაში სტაბილურ ვითარებას განამტკიცებს. ყარაბაღის ომმა რეგიონში კეთილმეზობლური ატმოსფერო დიდი ხნით მოშალა. ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავდით. ბოლო პერიოდში კი შუამავლადაც გამოვდიოდით, რაც, ვფიქრობთ, სწორი მოქმედებაა, რადგან ამგვარი კონფლიქტი არავისთვის, მათ შორის არც ჩვენი ქვეყნისათვის არ არის სიკეთის მომტანი.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან: იგი წინააღმდეგობებით აღსავსე გაერთიანებაა, გარდამავალი და ცვალებადი სტრუქტურაა, ამიტომ უფრო სასურველად მის თითოეულ სახელმწიფოსთან ორმხრივ ურთიერთობას მივიჩნევთ.

არ შევუდგები თანამედროვე თურქეთის დახასიათებას. იგი ყველასათვის კარგად ცნობილი სახელმწიფოა. და სასიხარულოა, რომ ამ მძლავრმა ქვეყანამ ჩვენთან ფართო მასშტაბის ხელშეკრულება პირველმა დადო, გვიწევს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას და ჩვენთან ერთად საფუძველს უყრის მტკიცე მეგობრულ ურთიერთობას. თურქეთი შავი ზღვის სახელმწიფოთა თანამშრომლობის ორგანიზაციაში საქართველოს პარტნიორია და ის, რომ ჩვენ ერთად ვმუშაობთ ამ ორგანიზაციის მოქნილი და ეფექტური სტრუქტურის შესაქმნელად, ვფიქრობ, თვალნათლივ გამოჩნდა ამ ალიანსის წევრი ქვეყნების მინისტრებისა და ექსპერტების ანტალიის შეხვედრაზე. ცხადია, ჩვენს მეზობელს, როგორც შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანას, თავისი ინტერესები აქვს, მათ შორის თუნდაც ის, რომ ევროპის „საერთო ბაზარში“ შესვლა სურს და ამ ახალი თანამშრომლობის პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერობა მას გარკვეულ ქულებს შესძენს. ეს ლტოლვა გასაგებია, მაგრამ იგი სრულიად არ ბღალავს ჩვენს ინტერესებს. ვიმედოვნებთ და ამ იმედის შესრულების ყველა წინაპირობა არსებობს, რომ შევძლებთ ისეთი ურთიერთობა დავამყაროთ თურქეთთან, რომელიც რელიგიურად განსხვავებული ძლიერი და მცირე სახელმწიფოს კეთილი დამოკიდებულებისა და ინტერესთა დამთხვევის მაგალითი იქნება.

კეთილმეზობლური დამოკიდებულების საიმედო გზები იკვეთება ირანთან ურთიერთობაშიც. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ჩვენი სახელმწიფოები პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სხვა სფეროში საერთო ინტერესებს გამოძებნიან, მზადა ვართ ამ დიდი და სტრატეგიული რესურსებით მდიდარ სახელმწიფოსთან მჭიდროდ ვითანამშრომლოთ. მივესალმებით ირანის სურვილს, თავისი სიმდიდრე ევროპაში საქართველოს გავლით გაიტანოს, რადგან ეს სწორედ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის ჩვენთვის სასარგებლოდ გამოყენებაა. ამის გარდა, ევროპისაკენ ირანის ეკონომიკური სწრაფვის მიმართ ჩვენი მხარდაჭერა ეკონომიკურ სარგებლობასთან ერთად, პოლიტიკურ დივიდენდებსაც შეგვძენს, რაც ახალი სახელმწიფოს პრესტიჟისათვის ფრიად მნიშვნელოვანია.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ურთიერთობაზე აშშ-სთან, რომელიც მსოფლიოს დემოკრატიული ინსტიტუტების ბურჯია. აშშ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და ჩვენი მიზანია, მასთან ურთიერთობა ყველა სფეროში უმჭიდროესი იყოს. მართალია, ამერიკას დღეს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც თავის ახალ გუნდს შექმნის, მაგრამ ჩვენთან ურთიერთობა არ შეიცვლება და თუ შეიცვალა, ეს ცვლილება უფრო პოზიტიური გახდება, რადგან დემოკრატიისა და თავისუფალი ეკონომიკისაკენ გზის გაკვალვა მხოლოდ ახლა დავიწყეთ. უდავოა, რომ აშშ ამ გზაზე როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად ჩვენს გვერდით იქნება.

ორიოდე სიტყვა საერთოდ პოლიტიკური პრიორიტეტის შესახებ. იგი კონსტანტა არ გახლავთ და ვითარების ცვლილებებთან ერთად დროთა განმავლობაში ისიც იცვლება. პრიორიტეტების არჩევისას, ნებისმიერი სახელმწიფო მისი პოლიტიკური, ეკონომიკურ-ტექნიკური, სამხედრო, დემოგრაფიული ძალის შესაბამისად, თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობს. ამასთან სწორი პრიორიტეტის არჩევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სახელმწიფო რეალურად უყურებს საკუთარ ზომა-წონას, შესაძლებლობებსა და განვითარების პერსპექტივებს. მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციები ძირითადად იმისათვის არის შექმნილი, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ (განსაკუთრებით ეს მცირე სახელმწიფოებს ეხება) თავისი სიმართლე არ დაკარგოს, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პატარა სახელმწიფოს არა აქვს უფლება დიდი შეცდომა დაუშვას... მომიტევეთ ეს ანბანური ჭეშმარიტება, მაგრამ ამით იმისი თქმა მინდა, რომ ნებისმიერი სახელმწიფო (ამასთან მცირე სახელმწიფო უფრო, ვიდრე ძლიერი) კომპრომისის უნარს უნდა ფლობდეს, მით უფრო, თუ კომპრომისის ჩარჩოები ქვეყნის პრინციპულ ინტერესებს არ დააზიანებს და მის პრესტიჟს არ შელახავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორი საგარეო პოლიტიკისათვის სრულიად შეუთავსებელია ისეთი ამბიცია, რომელიც ვიწრო ნაციონალიზმად და პროვინციალობად აღიქმება.

კიდევ ერთ მომენტზე, რომელიც ძალზე არსებითია.

შეიძლება თავის მოწონება იმ სახელმწიფოთა რიცხვით, რომლებმაც გვცნეს და ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს. ისიც შეიძლება, რომ ჩვენი მუშაობის შედეგთა შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და პარაფირებული ან ხელმოწერილი ხელშეკრულებები ჩამოვთვალით (მე გაკვრით ვახსენე, თუ რა შრომატევადი სამუშაოა ამ დოკუმენტთა მომზადება და დახვეწა), მაგრამ ყველაფერი ეს უნაყოფო იქნება, თუ ხელშეკრულებათა შედეგები მაქსიმალურად არ გამოვიყენეთ, თუ არ შესრულდა ის სამუშაო, რომელიც რომელიმე ორგანიზაციის წევრობით და ხელშეკრულებებით არის განსაზღვრული.

გაეროსა და ევროთათბირის წევრობა და ბრწყინვალედ გაფორმებული ხელშეკრულებები ხალხს ვერ დააპურებს, ვერ გაათბობს, ვერ ჩააცმევს, ვერ აამოძრავებს ტრანსპორტს, ვერ აამუშავებს გაჩერებულ ფაბრიკა-ქარხნებს, თუ ყველა ორგანიზაციამ, უწყებამ, დაწესებულებამ არ შეასრულა ვალდებულებები, არ გაიზიარა ის პასუხისმგებლობა, რომელიც საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლით იკისრა.

ჩვენი ქვეყანა ვერ იქნება ჰუმანიტარული დახმარების ან საჩუქრების იმედზე. ჭეშმარიტი კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ სამინისტროებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გამოიყენონ ხელშეკრულებით ანთებული მწვანე შუქი — ის ხიდები, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან გაიდო და ძაფები, რომლებიც მათთან გვაკავშირებს.

სიტყვამ მოიტანა და ხელშეკრულებათა მომზადების მექანიზმზეც მოგახსენებთ.

მათი პროექტი მარტო საგარეო საქმეთა სამინისტროში არ მზადდება. მათს შედგენა-შემუშავებაში, როგორც წესი, არაერთი ორგანიზაცია მონაწილეობს და დასრულებულ სახეს მხოლოდ სამთავრობო დონეზე განხილვის შემდეგ იღებს. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა რაიმე გამოგვრჩეს, ან პირიქით, ზედმეტი ვალდებულება ავილოთ (არის კი ვინმე უშეცდომო?), მაგრამ ვინაიდან სანამ ხელს მოაწერენ, ასეთი ხელშეკრულება საკმაოდ ბევრ ფილტრს გაივლის, მათ შორის პარლამენტსა და მის შესაბამის კომისიებში, მასში პრინციპული ხასიათის ყველა საკითხი როგორც ჩვენს, ისე პარტნიორის ინტერესებთან ყოველმხრივ შეჯერდება, მით უფრო, რომ ეს ყველაფერი კეთდება მხოლოდ პროფესიონალების მონაწილეობით; მათთან კონსულტაციების, სჯა-ბაასის, აზრთა ჭიდილის, სალი აზრის მქონე ვარიანტის მიღების საფუძველზე.

დღეს საქართველოში სამამულო ომია, რომელზეც ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეს უმძიმესი რეალობაა და მისი გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება, მით უფრო, რომ ომს მხოლოდ ზარბაზნები როდი იგებენ. მისი მიმდინარეობა და შედეგები დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკურ და ინფორმაციულ ბრძოლაზე.

საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში გაეროსა და ევროპული ორგანიზაციების ავტორიტეტულმა მისიებმა უკვე ადგილზე შეისწავლეს ვითარება, რამაც ხელი შეუწყო რეალური პოლიტიკური განწყობილების შექმნას.

ამ განწყობილების შექმნაში ერთ-ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდა ის, რომ საქართველოს მხარე ზუსტად იცავს 3 სექტემბრის შეთანხმებას, ხოლო აფხაზური მხარე ამ შეთანხმებას სისტემატურად არღვევს. ამითაც აიხსნება, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ჩვენი ომი რომ სამართლიანია, დღეს ეს კარგად იცის მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობამ, რომელიც აგრესიის აღსაკვეთად გარკვეულ ბერკეტებს ფლობს.

სეპარატისტებთან ურთიერთობაში ჩვენი ურყევი პოზიცია დღემდე პოლიტიკური მეთოდები იყო, მაგრამ ეს არც სისუსტეს ნიშნავს და არც დათმობას. დამოუკიდებელ საქართველოს ამ და სხვა მოვლენაზე დღეს თავისი შეხედულება აქვს და ეს შეხედულება ყოველთვის საერთაშორისო სამართალს, ტერიტორიულ მთლიანობას, ადამიანის უფლებათა დაცვას ემყარება.

— კადრებთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

— სამინისტრო ფაქტობრივად ახალშექმნილია და, ბუნებრივია, მისი კადრების ასაკიც ახალგაზრდულია.

დღევანდელ საქართველოს სწორედ წიგნიერი, პროფესიულად მზარდი ახალგაზრდები აძლევენ ძალასა და მომხიბვლელობას. ასეა ჩვენთანაც და მე სიამოვნებით ვთანამშრომლობ ჩვენს ახალგაზრდებთან. ბევრი მათგანი, მათ შორის მინისტრის მოადგილეები მ. უკლება, გ. ბურდული, გ. გორგილაძე ჩვენსავე აპარატში აღიზარდნენ და აქვე დაწინაურდნენ.

თქვენ, ალბათ, კარგად გესმით, რომ ერთ ინტერვიუში შეუძლებელია მოიცვა ყველა ის პრობლემა, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე დგას; დასრულებული სახით წარმოადგინო ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობების მთელი პალიტრა. პირდაპირ ვიტყვი: ამის პრეტენზია არც ჩვენ გვქონდა და, დარწმუნებული ვართ, ამგვარი მოლოდინი არც თქვენ გექნებოდათ. მაგრამ ზედმეტი არ იქნებოდა, ხაზგასმით აღგვენიშნა: დღეს მთელი ძალისხმევა იქით არის მიმართული, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა მაქსიმალურად გაწონასწორებული იყოს. ეს ერთი შეხედვით რიგითი ფრაზა დიდი შინაარსობრივი დატვირთვით გამოირჩევა და ცივილიზებული განვითარების გზაზე დამდგარი ნებისმიერი სახელმწიფოს გარესამყაროსთან ურთიერთობის ფილოსოფიას ასახავს. აქ არ შემიძლია, არ გავიხსენო ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვები: „ერი, რომელიც სხვა ერისადმი ჩვეული სიძულვილით, ან ჩვეული კეთილი გრძნობებით არის გამსჭვალული, გარკვეული თვალსაზრისით მონად იქცევა. ასეთი ერი ან თავისი მტრული, ან კეთილი გრძნობების მონაა და ამ ორი გრძნობიდან ნებისმიერს შეუძლია იგი საკუთარ ვალდებულებებსა და ინტერესებს დააცილოს“.

აუცილებელია გავითვალისწინოთ ეს შეგონება.

უნდა ყოველმხრივ ვეცადოთ, არ გავხდეთ ემოციების, სიმპათიებისა და ანტიპათიების, სიძულვილისა და სიყვარულის მონები. ამას საქართველოს ინტერესები გვიკარნახებს.

— ბატონო ალექსანდრე! თქვენ ძალიან საინტერესო ჰოროსკოპი გაქვთ. სხვათა შორის, ამის შესახებ კარგად წერდა ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთი „ალია საქართველოდან“, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ამ ნიშნის ადამიანს გამბედაობა, თავგანწირვა, სწორ გზაზე სიარული, პატიოსნება და ვაჟკაცობა ახასიათებს.

მინისტრის მოვალეობას თქვენ საქართველოს საყოველთაო იზოლაციის პერიოდში შეუდექით.

დღეს საქართველო უკვე აღარ არის დანარჩენი სამყაროსაგან მოწყვეტილი. ეს კი იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ღვთის ნებით, ალბათ, სხვა მხრივაც გვეშველება.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

უმაღლესი დონის შეხვედრა სოჭში

ბუშინ რადიოსადგურმა თავისუფლებამ გადმოსცა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უკანასკნელი ერთი კვირის მანძილზე მესამედ ელაპარაკა ტელეფონით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს. სამივეჯერ საუბარი ეხებოდა მათ მიერ ვაშინგტონში პრეზიდენტ ბორის ელცინის ვიზიტის დროს მიღწეულ შეთანხმებას, მომზადებულ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება. იგი ითვალისწინებს ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების თითოეული მხარის მიერ 3,5 ათას ერთეულამდე შემცირებას. აღნიშნავენ, რომ ამ ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის დასაზუსტებლად და ორი ქვეყნის პრეზიდენტების უმაღლესი დონის შეხვედრის მოსამზადებლად კვირას ჟენევაში ერთმანეთს შეხვდებიან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი იგლბერგერი. პრეზიდენტების შეხვედრა უნდა გაიმართოს 2-3 იანვარს სოჭში, სადაც სომალიდან ჩავა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. სომალში პრეზიდენტი ახალ წელიწადს ამერიკის ჯარებთან ერთად შეხვდება. ადრე ფიქრობდნენ, ორი პრეზიდენტის შეხვედრა 4 იანვარს ალასკაში მოეწყოთ.

გრაფი — ბელარუსეთის პრეზიდენტი?

ქრისტეშობის აღსანიშნავ დარბაზობაზე მიიწვია ახალი და ძველი მეგობრები გრაფმა ალექსანდრე პრუშინსკიმ. იჯარით აღებულ ერთ-ერთ დარბაზში შეკრებილ სტუმრებს შორის იყვნენ პოლონეთის კონსული, პოლონელთა საქალაქო კულტურულ-საგანმანათლებლო ამხანაგობის წევრები, ბელარუსული წარმოშობის ტიტულოვანი ადამიანები, რომლებიც ამერიკიდან გამოფრინდნენ.

გრაფმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი გეგმები — დაასახელოს თავისი კანდიდატურა ბელარუსეთის პრეზიდენტის პოსტზე. ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ აცხადებს პრეტენზიას თავისი წინაპრების ქონებაზე, მზად არის უანგაროდ იმუშაოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

იგი აქტიურად ჩაება ბელარუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთადერთი, რაც გულს ტკენს გრაფს, ის არის, რომ ვერაფრით ვერ მიიღო ბელარუსის მოქალაქეობა, რადგან უკვე აქვს კანადისა და პოლონეთისა და არ სურს მათი დათმობა. ბელარუსეთის რესპუბლიკის კანონით კი ორმაგი მოქალაქეობა აკრძალულია.

სომხეთის პრეზიდენტის პრესმდივნის განცხადება

ომი მთიან ყარაბაღში, ალბათ, 1993 წელს დამთავრდება, განაცხადა სომხეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა რუბენ შუგარიანმა.

თავისი პროგნოზი მან დაასაბუთა მოწინააღმდეგე მხარეთა ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის აშკარა ამოწურვით, რასაც „უძლურების პარიტეტის“ დამყარება მოჰყვება.

„იზვესტია“.

თითო აბზაცით

● ხუთშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა შეიწყალა რეიგანის ადმინისტრაციის ექვსი ყოფილი მაღალი რანგის პირი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ქვეყნის კანონების დარღვევა, როცა ახორციელებდნენ „ირან-კონტრასის“ საიდუმლო ოპერაციას. შეწყალებულთა შორის არიან თავდაცვის ყოფილი მინისტრი კასპარ უაინბერგერი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ელიოტ აბრამსი, პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში რობერტ მაკფარლეინი, აგრეთვე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამი მაღალი თანამდებობის თანამშრომელი.

● პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აპირებს ხელი მოაწეროს ახალ დირექტივას აფრიკაში შეერთებული შტატების უფრო აქტიური პოლიტიკის შესახებ. მისი მიზანია, თავიდან აიცილოს შიმშილის მსგავსი პოტენციური უბედურება და სამოქალაქო ომი სომალიში.

უღვთო იყო მისი სიკვდილი

ეროვნულ სულს ჩაგვირისტებული...

ომარ კელაპტრიშვილი ამ დღეებში — 1993 წლის 1 იანვარს — ორმოცდაათი წლისა გახდებოდა. უღვთო იყო მისი სიკვდილი, სწორედ რომ შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში განერიდა იგი სამზეოს. მისი სახით ქართულმა მუსიკალურმა სამყარომ დაკარგა გამორჩეული ხელწერის, პოეტური გზნების, ეროვნულ სულს ჩაგვირისტებული ხელოვანი, სალამურის უბადლო დიდოსტატი.

ომარმა ბავშვობა ქართლის უმშვენიერეს სოფელ კავთისხევში გაატარა. ალბათ, დიდგორის ალმოდებული ველ-მინდვრებიდან გამოჰყვა მას ის მადლი და ხიბლი ბუნებისა, რომლითაც კავთურის პირას გაზრდილი ბიჭი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსმენელთა გულისმპყრობელი გახდა.

კელაპტრიშვილის ფენომენი ახალი სიტყვა იყო ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში. არმაზის ხეობასავით მრავალფეროვანი ჩანდა ლერწმის ყელიდან ამოღვრილი სამყარო, მცხეთის კალთებივით წმინდა და ანკარა იყო ის ხმა, რომელიც ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასე ატყვევებდა და ხიბლავდა მსმენელთ. მხოლოდ ომარმა შეძლო თავის ცნობილ მასწავლებელ ბატონ კირილე ვაშაკიძესთან ერთად ახალი სივრცეები მოეძებნა და უკვდავი სული შთაებერა ჟამთა სიავით მივიწყების მტვერწაყრილი მრავალი ხალხური საკრავისათვის.

სანთელი

ანსამბლ „რუსთავის“ დაარსებიდან მისი წამყვანი სოლისტი გახლდათ და ნეტარხსენებულ ჯამლეტ გონაშვილის გვერდით ანსამბლის ყველა წარმატების აქტიური მონაწილე იყო. აქ, ამ ვარსკვლავთ კრებულში გამოვლინდა ომარ კელაპტრიშვილის დიდი ნიჭიერება, აქვე მოხდა მისი საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა და ამაღლება.

მრავალი ღირსეული თვისებით შემკული კაცი იყო ომარი, არაჩვეულებრივი მოქართულე — საუბრობდა თავანკარა ქართულით. ჩინებული მცოდნე იყო მითოსისა თუ ძველი ქართული ხელოვნებისა. აზრთა გამრიგეს რომ ეცალა, ბევრი რამის შექმნასა და გამომზეურებას აპირებდა. წერდა მშვენიერ ლექსებს, რომელთაც თავდაპირველად გვიმალავდა ახლო მეგობრებს, უყვარდა პურობა და მოყვასის მოფერება (რაც ასერიგად სანატრელია ჩვენში). ოდითგან ახსოვთ დედასოფლის ხმალამოღებული ქომაგი უფროს ძმა გერისთან ერთად — მისი კეთილდღეობისათვის დღენიადაგ შემართული და მზრუნველი...

პირდაპირ განსაცვიფრებელი იყო დიდი მუსიკოსის მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. იგი ერთნაირი მონდომებით უკრავდა დიდსა და პატარა სცენაზე, თქვენ, წარმოიდგინეთ, სუფრასთანაც კი (სადაც პარალელურად შესანიშნავად თამადობდა ხოლმე).

ომარ კელაპტრიშვილი ცნობილი გახლდათ, როგორც პედაგოგი და მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდის აღმზრდელი. დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ხალხურ საკრავთა სტუდიის შექმნას. შესაშური გატაცებით მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში, მის მიერვე შექმნილ ხალხურ საკრავთა ანსამბლში. მანვე ჩამოაყალიბა ქალთა ანსამბლი „იავნანა“. მოგვიანებით აღმოსავლურ ჰანგთა მეუფეს — დუდუკსაც შთაბერა თავისი მადლიანი თვალი და ხელი. აქაც თავისი სიტყვა თქვა. დუდუკისთვის მანამდე უცხო ქართული მელოდიის ხიბლი მოჰმადლა აღმოსავლურ საკრავს...

როგორც მრავალჯერ თქმულა, ომარ კელაპტრიშვილის ხელოვნებას აღტაცებაში მოუყვანია მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტი ქვეყანა, სადაც პრესა მხოლოდ ვირტუოზის სახელით ამკობდა უკვდავ ხელოვანს. მაგრამ... ომარის სულის უპირველესი ემბაზი, მისი შემოქმედების ღვრიტა სამშობლო — საქართველო იყო. სიკვდილითაც, უპირველესად, მშობლიურ სანახებს მოუკვდა იგი. შემთხვევით ჯერ არაფერი მომხდარა დედამიწაზე. სამარადჟამო სასუფეველი სწორედ იქ, იმ პანთეონში მიუჩინეს, სადაც ჩვენი მიწისთვის შეწირული ასობით პირტიტველა მზეჭაბუკი, უსახელო გულისცხებელი წევს...

ხომ საოცარია, თვით სიკვდილმა ვერ შეძლო დიდი მუსიკოსის ვერცხლისწყალივით მოძრავი თითების საბოლოო დამორჩილება. მარჯვენა ხელის მტევანი ჩვეულებრივად, თბილი ჩაიტანა სამარეში. ეს კი იმის მაუწყებელია... ომარ კელაპტრიშვილი იქიდან უგალობს უთანასწორო ბრძოლებით სისხლდაღვრილ მის სათაყვანებელ ქართლს, ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე მდგარ, მაგრამ საბოლოოდ დაუმარცხებელ, ერთიან თავისუფალ საქართველოს! ასე სჯერა შენი უკვდავი სახელისა და ჰანგის გამგრძელებელს, შენს ერთადერთ შვილს — კელაპტრიანთ ყრმას — მეორე ომარ კელაპტრიშვილს...

დაბადების დღეს გილოცავ, ამ სამზეოდან იმ საუფლოში დავანებულო ძმაო!...

თემურ ჩალაბაშვილი.

ხვალ, 14 საათზე, რუსთაველის თეატრში — საქტელერადიო დეპარტამენტი მართავს ომარ კელაპტრიშვილის დაბადებიდან 50 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამოს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ჩვენი მთა-ბარის ამბები

სპონსორის ქველმოქმედება

კაფე „სიყვარულსა და კოქტეილში“ მისი დირექტორის გულსუნდა ბეგოიძის სპონსორობით გაიმართა საშობაო საქველმოქმედო ღონისძიება — „მე თბილისელი ვარ“. იგი მოეწყო მთაწმინდის, ვაკის და საბურთალოს რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან არსებული სოციალური დახმარების ქვეგანყოფილების თანამშრომელთა ინიციატივით.

კაფეში სტუმრად მოწვეულ იყვნენ ამ სამი რაიონის ღვაწლმოსილი, დამსახურებული ადამიანები, პენსიონერები, მარტოხელები, სადაც მათთვის გაიშალა საშობაო ტაბლით სუფრა. მოწვეულებს კაფე „დორას“ პარფიუმერიის ხელმძღვანელებმა ფულადი საჩუქრები გადასცეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ რაიონების ხელმძღვანელობა, სოცუზრუნველყოფის სამმართველოს მუშაკები, მთაწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნანა ანდღულაძე, „საქართველოს ჯანმრთელობისა და მოწყალების ფონდის თანამშრომლები და სხვანი.

და რა კარგი იქნება, თუ მოწვეულთაგან გაისად ყველა თავად უმასპინძლებს ღვაწლმოსილებს.

თითქოს გაცოცხლდა გაბრიელი

საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ ობოლი და ხელმოკლე წარჩინებული სტუდენტისათვის დააწესა პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურის სახელობის სტიპენდია თვეში 1000 მანეთის ოდენობით.

უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელების წარდგინებით და საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით გაბრიელ ჯაბუშანურის სახელობის პირველი სტიპენდიანტი გახდა თბილისის სამხატვრო აკადემიის მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტი პაატა გიგაური.

ნორჩები შველას ითხოვენ

18 დეკემბერს დილით გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლე-ახალგაზრდობამ პიკეტირება მოაწყო სახსტანდარტების გორის განყოფილების შენობასთან. ისინი მოითხოვენ დაუბრუნონ შენობა, რომელშიც ადრე ნორჩ ტექნიკოსთა სადგური იყო.

მოსწავლეებმა და პედაგოგებმა დაიკავეს საგამოფენო დარბაზი, ბატონო უფროსებო! თუ გორში ნორჩების ტექნიკისადმი სიყვარული ასე ძლიერია, ნუ შეუშლით ხელს. სხვა თუ არაფერი ცოდნისადმი ამგვარი სწრაფვა უნიკალური ფაქტია.

საშობაო არდადეგები

წლევანდელმა წელმა დიდი ფიზიკური და ზნეობრივი გამოცდა მოუწყო ქართველ ხალხს. ცხოვრებისა და ყოფის სირთულეები, გაღიზიანება და უნდობლობა მძიმე ტვირთად დააწვა ბავშვების ფსიქიკასაც.

და აი, ახლა ბავშვები მოუთმენლად ელიან ახალი წლის დადგომას, რადგან ახალ წელს ისინი უკავშირებენ რაღაც უჩვეულოს, ამასთან საოცრად ლამაზსა და კეთილს.

ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად, რესპუბლიკის საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგიურმა კოლექტივებმა მშობლების, საზოგადოებრიობის, სპონსორთა აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით, ყველაფერი უნდა იღონონ, რათა არდადეგების დღეებმა დადებითი ემოციური დატვირთვით ჩაიაროს, საშობაო და საახალწლო ზეიმები ნათელ და ლამაზ დღესასწაულად გადაიქცეს.

სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში ზამთრის არდადეგების ორგანიზაციის საინტერესო გამოცდილება არსებობს. დროა იგი ახალი შინაარსით გაამდიდრა. ქრისტეშობისა და ნათლისცემის ამაღლებული დღესასწაულები განუმეორებელ ელფერს შესძენენ არდადეგებს.

სასწავლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღსაზრდელებს ზამთრის არდადეგების დღეებში მოელით:

— საშობაო და საახალწლო მეჯლისები მხატვრული თვითშემოქმედებითა და იმპროვიზებული საჩუქრებით, თეატრალიზებული და ლიტერატურული წარმოდგენებით, პოეზიისა და მუსიკის საღამოებით;

— შეხვედრები ადამიანებთან, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება ცხოველ ინტერესს იწვევს მოზარდებში;

— სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ტექნიკური და ნატურალისტური შემოქმედების გამოფენები;

— ბავშვების მიერ დამზადებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, აუქციონები.

— საქველმოქმედო საღამოები და მოწყალების აქციები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ომის საზარელ რეალობას ბავშვებში კეთილშობილური სულიერების გაძლიერებამ უნდა უპასუხოს;

— ექსკურსიები სოფლის, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად;

— მუზეუმების და გამოფენების დათვალიერება, სპექტაკლებზე დასწრება, კინოფილმების ნახვა და განხილვა.

არდადეგების დღეებს აქტიურად გამოიყენებენ პედაგოგიური კოლექტივები თავიანთი საქმიანობის უკეთ ორგანიზების, პედაგოგიური საბჭოების ჩატარების, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების, მეთოდური დახელოვნების, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს პრესცენტრი.

მოიტაცეს... ჰიდროელექტროსადგური

ეს მოხდა ბორჯომში. მინერალური წყლების საკურორტო პარკში დასასრულს უახლოვდებოდა საქართველოში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი ჰესის აღდგენითი სამუშაოები.

— ჰესის აღდგენის შემდეგ კურორტ-ქალაქს გაისიდან რვა მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია ექნებოდა და საგრძნობლად დააკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბორჯომის გამგეობის თავმჯდომარემ ოთარ გოცირიძემ.

ნაძირალებმა სპილენძის გატაცების მიზნით გაანადგურეს გენერატორები, გერმანული წარმოების ტრანსფორმატორი, მოსპეს ყოველივე, რაც ორი წლის მანძილზე სპეციალისტების ხელით კეთდებოდა, მოიტაცეს სპილენძი. რისი წაღებაც ვერ შეძლეს, ადგილზე ისე გაანადგურეს, რომ ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარი გახდა. ზარალი მილიონობით მანეთია. ზარალი მოგვაყენეს, ფაქტია, მოგვტაცეს ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მცირე ჰესებს შორის თავისი უნიკალურობით გამოირჩეოდა და ისტორიული ღირებულებაც ჰქონდა, — დასძინა ბატონმა ოთარმა.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დამნაშავეთა კვალს მიაგნეს, მაგრამ ძიების ინტერესების დაცვის მიზნით მათ ვინაობას მოგვიანებით გაცნობებთ.

კიდევ ერთი ახალი



კონცერნი „გეიკო“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კერძო კომპანია — ახალი გაზეთის „გეიკო-ექსპრესის“ გამომცემელიც გახდა.

მთავარმა რედაქტორმა გიორგი ვაშაკიძემ გვითხრა: ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი კიოსკებში სწორედ საშობაოდ გამოჩნდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კარგი ნიშანია.

ნომრის „ძირითადი“ მასალა გახდა ინტერვიუ კონცერნის პრეზიდენტთან გელა პატარაიასთან, რომელშიც იგი საუბრობს მრავალდარგოვანი საწარმოს დღევანდელობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ. მკითხველთა ყურადღებას მიიპყრობს ქრისტეს შობასთან დაკავშირებული ისტორიის მასალებიც, ექვთიმე თაყაიშვილის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები, იუმორის, რეკლამის, ილუსტრაციის კუთხე.

სტუდენტური სპორტის პრობლემები

დედაუნივერსიტეტი ფულზე არ გაიცვლება

გივი შეყილაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდი, საქართველოს გასული წლების ჩემპიონი და თასის მფლობელი, წლევანდელ ეროვნულ პირველობაზე თამაშს თამაშზე აგებს...

რა მოხდა? — გაიოცებს საქმეში ჩაუხედავი გულშემატკივარი.

კალათბურთის კვალიფიციური ქომაგი კი უნივერსიტეტის გუნდის წინააღმდეგ მოასპარეზეთა შორის მრავლად შენიშნავს მათ, ვინც უახლოეს წარსულში სტუდენტური კოლექტივის ღირსებას იცავდა.

არა, ამ კალათბურთელებს ჯერ არ დაუმთავრებიათ უნივერსიტეტი, კვლავ სტუდენტები არიან და რა უცნაურიც უნდა იყოს, მშობლიური სასწავლებლის წინააღმდეგ „[illegible]“.

ეს უჩვეულო სიტუაცია დრომ მოიტანა.

საქმე ასეა: უკანასკნელ პერიოდში სათავე იდება არაჯანსაღ ტენდენციებს — სტუდენტური სპორტის მდგომარეობა თანდათან უარესდება. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი სპორტსმენები. სხვადასხვა გზით აღმოჩნდნენ სპონსორების, ფირმების, კოოპერატივების, საწარმოების ხარჯზე ხელოვნურად შექმნილ, ახლად ჩამოყალიბებულ გუნდებში. ეს გუნდები ნახევრადპროფესიონალური, კომერციულნი არიან.

დასამალი არაა: წინა წლებში რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები შეღავათს უწევდნენ სპორტსმენ-აბიტურიენტებს მისაღებ გამოცდებზე. უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების მიერ შემუშავებული ტაბულების ძალით, სტუდენტი სპორტსმენი ვალდებული იყო მშობლიური სასწავლებლის ღირსება დაეცვა საქართველოს ჩემპიონატებში, ხოლო საკავშირო პირველობებზე მათ ოსტატთა კოლექტივებში ვხედავდით (მაგალითად, „დინამოს“ ფეხბურთელთა თუ წყალბურთელთა გუნდებში).

სტუდენტ სპორტსმენთა ძნელი და დაძაბული წვრთნა, ასპარეზობებში ხშირი მონაწილეობა, უმრავლეს შემთხვევებში, აფერხებდა მათ სწავლა-განათლებას. ეს ხარვეზი ივსებოდა პედაგოგთა მზრუნველობით — გრაფიკზე მყოფ სპორტსმენებს უტარდებოდათ რიგგარეშე კონსულტაციები, ლექციები, სემინარული მეცადინეობები. კერძოდ, თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სპორტული დაოსტატებისა და სწავლის ყოველგვარ პირობებს უქმნიდა მათ.

მზრუნველობის და ყურადღების ეს დამკვიდრებული ტრადიცია დღესაც ძალაში რჩება. მით უმეტეს, რომ ეროვნული საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი როინ მეტრეველი ორმაგად დაინტერესებულია სტუდენტ სპორტსმენთა წარმატებით.

„სამაგიეროს გადახდის“ შინაარსი კი მთლიანად შეიცვალა. მე, ლექტორი, პატივს ვცემ რა შენს სპორტსმენობას, ზედმეტად ვიტვირთავ საკუთარ თავს და რიგგარეშე გამეცადინებ, შენ კი მშობლიური უნივერსიტეტის წინააღმდეგ წარმატებით ასპარეზობ... გიღალატნია მეგობრებისათვის, სასწავლებლისთვის და სხვაგან გიძებნია თავშესაფარი.

ბუნებრივია, ასეთ ნაბიჯს შესაფერი რეაგირებაც მოჰყვება. ზედმეტად აღარავინ დაიტვირთავს თავს და აკადემიურად ჩამორჩენილი „მოგზაური სპორტსმენები“ უნივერსიტეტიდან გარიცხებიან.

მაგრამ საქმის ასე უბრალოდ დამთავრება სტუდენტური სპორტის მომავალს არ წაადგება.

სწორედ ამის შესახებ გვიზიარებს თავის მოსაზრებებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე, დოცენტი ოთარ მიმინოშვილი:

„ახლად შექმნილმა რესპუბლიკის სპორტის კომიტეტმა და ეროვნულმა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ სპორტის სახეობების დამოუკიდებელი ფედერაციების და კლუბების კოორდინაცია უნდა მოახდინონ, განსაზღვრონ უმაღლესი სასწავლებლების გუნდების სტატუსი, იზრუნონ მათი შემადგენლობის დაკომპლექტებაზე და მსოფლიო უნივერსიადისათვის მზადებაზე. აუცილებელია სასწრაფოდ შემუშავდეს ახალი დებულებანი.

ჩემი აზრით, ახლადშექმნილ კომერციულ გუნდებში მხოლოდ გარკვეული, მცირე რაოდენობით უნდა მოხდეს სტუდენტ სპორტსმენთა ჩარიცხვა უნივერსიტეტის (და სხვა უმაღლესი სასწავლებლების) ხელმძღვანელობასთან უსათუოდ ხელშეკრულება-კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

ფირმების, ასოციაციების, საწარმოების, სხვა კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელებს იქნებ ურჩევნოდეთ კიდეც დამოუკიდებლად, ხელოვნურად გუნდების ჩამოყალიბების ნაცვლად ხელშეკრულების საფუძველზე უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნან ერთობლივი გუნდები.

თუ ეს არ განხორციელდა, მაშინ არსებობს მეორე, უფრო მარტივი, გამოსავალი: უნივერსიტეტის (და სხვა უმაღლესი სასწავლებლების) სპორტსმენები მონაწილეობას არ მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატებში და მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების პირველობებზე იასპარეზებენ. ამით, ბუნებრივია, გაღარიბდება ჩემპიონატების სპექტრი, დაეცემა სპორტული მომზადების დონე და დაქვეითდება სპორტული შედეგები.

თუ რა სავალალო დღეში არიან უმაღლესი სასწავლებლების გაძარცვული გუნდები, კარგად დაგვანახა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ჩემპიონატმა, რომლებიც სტუდენტები ბოლო პოზიციებზე იმყოფებიან. საერთოდ ეს მტკივნეული ვითარება სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებს ეხება.

სტუდენტური სპორტის ეს ძნელზე ძნელი პრობლემა სხვა ასპექტების გათვალისწინებითაც საჭიროა. მსოფლიო უნივერსიადებზე საქართველოს ეროვნული ღირსების დაცვის თვალსაზრისითაც. მაგრამ ეს ვრცელი და მრავალმხრივი განსახილველი საკითხია“.

ბუნებრივია, ბატონ ოთარ მიმინოშვილს, და სპორტის სხვა მესვეურებს, სტუდენტური სპორტის აღმავლობის და მსოფლიო სტანდარტების დონეზე მისი აყვანისათვის ანგარიშგასაწევი კონცეფციები აქვთ.

საჭიროა ამ კონცეფციათა შეჯერება-დაკონკრეტება და ეს უნდა მოხდეს ეროვნული საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ძალისხმევით. მანამდე კი, ისევ ბატონ ოთარის სიტყვებით მივმართავთ ჩვენს გზააბნეულ სტუდენტ სპორტსმენებს:

მათ, ვინც მძიმე ეკონომიკური ვითარების პირობებში, ავანტურისტულ გარიგებებში მონაწილეობენ, ყველაფრის მიუხედავად, უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ ორი საკრალური სიტყვის ფასი: ერთგულება და სიყვარული!

ერთგულება — საკუთარი გუნდისადმი და სიყვარული — უნივერსიტეტისა!

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

საქართველოს VI ჩემპიონატი ათლეტიზმის ერთ-ერთ სახეობაში — ძალისმიერ სამჭიდში.

პირადი ჩათვლა. ჩემპიონები:

52 კგ — მამუკა შენგელია (სიღნაღის „ერქვანი“). მანვე დაამყარა საქართველოს 12 რეკორდი;

56 კგ — ივანე ამონაშვილი (თბილისის „ორბი“). მანვე მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონობა შვარცის კოეფიციენტით;

60 კგ — მინდია ფეზუაშვილი (თბილისის „ორბი“);

67,5 კგ — ალექსანდრე ფალავანდიშვილი (თბილისის უნივერსიტეტი);

76 კგ — გიორგი მაისურაძე (თბილისის უნივერსიტეტი);

82,5 კგ — ვლადიმერ ბედიაშვილი (თბილისის „ორბი“);

90 კგ — სოლომონ ჩიკურიშვილი (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი);

100 კგ — შოთა ბექაშვილი (სიღნაღის „ერქვანი“);

110 კგ — ზაზა ვერცვაძე („თბილისის „ორბი“);

გუნდური პირველობა: I — თბილისის „ორბი“, II — თბილისის უნივერსიტეტი, III — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი.

• • •

საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებული საქალაქო კომერციული ტურნირი.

ჯგუფებიდან ნახევარფინალში გავიდნენ: I ჯგუფიდან — „რომპისტი“ და სამედიცინო ინსტიტუტის „მენიდა“; II ჯგუფიდან — „მძლეთამძლე“ და „მგლები“.

ნატიში შამათი

რუბრიკას უძღვებიან შოთა ინწკირველი და ველიმირ კალანდაძე.

ჩემპიონი სავარდო და სამაისო ქუთაისიდან

გიორგობისთვეში თბილისში 23 წლის ხვიჩა სუპატაშვილმა პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა (უმაღლესი ლიგა).

ხვიჩას პირველი მასწავლებელი იყო ლერი ესაძე. გავეცნოთ მეტად საინტერესო პარტიას საქართველოს ჩემპიონატიდან. შავებითაა საერთაშორისო ოსტატი ბალათუროვი.

სუპატაშვილი-ბალათუროვი. ძველინდური. თბილისი, 1992 წელი. გიორგობისთვე. 1. d4 მf6 2. c4 g6 3. მf3 კg7 4. g3 0—0 კg2 d6 6. 0—0 მbd7 7. მc3 e5 8. h3 c6 9. ლb3!? e:d4 10. მ:d4 ეe8 11. ეd1 ლe7 12. ლc2 მb6?!

უკეთესი იყო 12. ...a5 13. b3 მc5= („დინამიკური წონასწორობის პოზიცია“).

13. b3 c5?! 14. მdb5 კf5 15. ლd2 ეed8 16. კb2 მc8 17. e4!+—

სუპატაშვილმა ლაგამი ამოსდო მეტოქეს. შეიძლება ითქვას, რომ პოზიცია სტრატეგიულად უკვე მოგებულია თუ ახლა 17. ...კe6, მაშინ 18. e5 (და 19. მe4).

17. ...კd7 18. მc7 ეb8 19. მ3d5 მ:d5 20. მ:d5 ლe6 21. ლg5! ეe8 22. მf6 კ:f6 23. კ:f6 კc6 24. ეd5!!?



ხვიჩა სუპატაშვილი დიდი ხელოვნებით წარმართავს ბრძოლას. მუქარაა 25. ეf5!!

24. ...h6 25. ლh4 მფh7 26. ეd2! მe7 27. ეad1 მg8.

თუ 27. ...ეbd8, მაშინ 28. კg5+—.

...ეbd8, მაშინ 28. კg5+—

28. ე:d6 ლc8 29. კc3 ეe6 30. ლf4! ლe8 31. ე:e6! ბალათუროვი დანებდა.

კიდევ ერთი იმედი

გიორგი ყაჭეიშვილი დაიბადა თბილისში 1977 წლის 10 თებერვალს. მან მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს პირველობაზე და ევროპის პირველ გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, სადაც ოსტატებთან და დიდოსტატებთან ბრწყინვალედ იასპარეზა (4,5 ქულა შვიდიდან). გიორგის პირველი მასწავლებელი იყო ოთარ ალხანიშვილი. ამჟამად მეცადინეობს ახალგაზრდულ პროფესიულ საჭადრაკო კომერციულ კლუბში „ამომავალი ვარსკვლავი“ (ხელმძღვანელი გიორგი ხომერიკი).

1992 წელს ლონდონში, საერთაშორისო ტურნირში „კატფორდის ოსტატები“ I ადგილი დაიკავა. ვნახოთ ერთი მშვენიერი პარტია ამ ტურნირიდან.

ყაჭეიშვილი-მაკდონალდი. ფრანგული. ლონდონი, 1992 წელი. ენკენისთვე. 1. e4 e6 2. d4 d5 3. e:d5 e:d5 4. მf3 მf6 5. კd3 კg4 6. 0—0 მc6 7. c3 კe7 8. კg5 მe4?! 9. კ:e7 ლ:e7 10. ეe1 0—0—0 11. მbd2 f5.

მართალია ასუსტებს e5 უჯრას, მაგრამ პრაქტიკულად ერთადერთია, რადგან თუ 11. ...კf5 მაშინ 12. მ:e4 კ:e4 13. მd2+— გადამწყვეტი უპირატესობით.

12. ლa4 ეd6 13. მe5! მ:e5 14. d:e5 ეh6 15. ლ:a7 ლh4.

თუ 15. ...მ:d2, მაშინ 16. e6! c6 17. კa6± აშკარა უპირატესობით. ცუდია 16. ლa8 მფd7 17. ლ:h8 მf3!-ის გამო.

16. მf1! ეe8 17. ლa8 მფd7 18. კb5 c6 19. ლ:b7 მფd8.



20. ე:e4!! f:e4 21. კ:c6 ეf8.

თუ 21. ...ეe7, მაშინ 22. ლb8 და 23. კ:d5.

22. ლb8 კc8 23. ლb6 მფe7 24. ლc7 მფe6 25. კ:d5! მფ:d5 26. ეd1 მფe6 27. ეd6 მფf5 28. მe3 მაკდონალდი დანებდა.

ქვემოთ მოტანილი მკაფიო და ლამაზი დაბოლოება გათამაშდა 1979 წელს ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბ „ნაკადულში“, მესამე თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში. თეთრებითაა 9 წლის ირმა ცქვიტინიძე.

ბერბიჟაშვილი



ცქვიტინიძე

სვლა თეთრებისაა. ველით თქვენს პასუხს.

ცხონება

ემილ სეხნიაშვილი

ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ, რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 68 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ემილ ალექსის ძე სეხნიაშვილი.**

ცხოვრების დიდი გზა განვლო ე. სეხნიაშვილმა. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. წლების მანძილზე უძღვებოდა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა საქმიანობას რესპუბლიკაში.

ე. სეხნიაშვილი ცნობილი სპეციალისტი იყო სამშენებლო მექანიკის, კერძოდ, ნაგებობათა თეორიისა და დინამიკის დარგში, აგრეთვე სეისმომედეგი მშენებლობის, ბეტონისა და რკინაბეტონის თეორიისა და ტექნოლოგიის, განსაკუთრებით მსუბუქი და წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის დარგში.

იგი 100-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და გამოგონების ავტორია. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დიდ სამეცნიერო და ორგანიზაციულ მოღვაწეობასთან ერთად ე. სეხნიაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც 1972 წლიდან ხელმძღვანელობდა გამოყენებითი მექანიკის კათედრას.

1986 წელს ე. სეხნიაშვილი აირჩიეს იუნესკოსთან არსებული სეისმომედეგი მშენებლობის დარგში საერთაშორისო ქსელის ცენტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრად. იყო ამ საერთაშორისო ქსელის თბილისის ცენტრის ხელმძღვანელი.

ე. სეხნიაშვილი იყო სხვადასხვა საპრობლემო და სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შესწავლის სამეცნიერო ცენტრს, წლების მანძილზე იყო საქართველოს პროფსაბჭოს მშენებლობის ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარე.

ქართულ ტექნიკურ მეცნიერებას დიდხანს შერჩება ღრმა კვალი აკადემიკოს ემილ სეხნიაშვილის ნამოღვაწარისა. მეცნიერის ხსოვნას სამუდამოდ შეინახავენ მისი მეგობრები, კოლეგები და აღზრდილები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება; კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი; საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; აგრარული უნივერსიტეტი.

მზად ვართ თანამშრომლობისათვის

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო მიმართავს ყველა დაინტერესებულ პირს, პოლიტიკურ პარტიას, საზოგადოებრივ, პროფკავშირულ და პოლიტიკურ ორგანიზაციას, საპარლამენტო ფრაქციას, საწარმოო, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულების კოლექტივს, რომ იგი მზად არის მჭიდროდ ითანამშრომლოს მათთან ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის გზების ძიებაში.

ეკონომიკის სამინისტრო მიიღებს და განიხილავს ყველა საქმიან წინადადებას, პროგრამას, კონცეფციას რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების თაობაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ჩვენი მისამართია: 380062 ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. № 170.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

მკითხველთა საყურადღებოდ!

უკვე გამოვიდა და გამომცემლობა „საქართველოს“ საფირმო მაღაზიაში იყიდება ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის მეორე ტომი. აბონემენტის მფლობელებმა უნდა გაიტანონ აღნიშნული ტომი 1993 წლის 1 მარტამდე.

მკითხველებს უნდა ვაუწყოთ ისიც, რომ ფულის ინფლაციის სწრაფი პროცესის გამო, მოსალოდნელია 1993 წლის 1 იანვრიდან გაიზარდოს წიგნის ფასები, საშუალოდ 50 პროცენტით.

გამომცემლობა „საქართველოს“ საფირმო მაღაზიაში ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I და II ტომების გარდა იყიდება: ფრანც კაფკა — „პროცესი“, მ. მჭედლიშვილი — „რა უნდა იცოდეს ჩვილი ბავშვის დედამ“, გრემ გრინი — „დოქტორი ფიშერი“, ვ. ლევინი — „ჩუმი რომაელები“, გოლონები — „ანჟელიკა“, მაგიდის კალენდარი.

მაღაზიაში საახალწლოდ გაიყიდება სასაჩუქრე წიგნები: „ვეფხისტყაოსანი“, „ქართული ღვინო“, „ქუთაისი“, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, სიყვარულის წიგნი.

ჩვენი მისამართია: მარჯანიშვილის ქ. № 5.

გიწვევთ კურსებზე!

საქართველოს ეროვნულ-საგანმანათლებლო საზოგადოება აცხადებს მიღებას:

1. სამკურნალო მასაჟისტების მოსამზადებელ კურსებზე;
2. საიუველირო საქმის შემსწავლელ კურსებზე;
3. ხალხური რეწვის შემსწავლელ კურსებზე (ქარგვა ჯვრით და ოქრომკედით, ფარდაგების ქსოვა).

კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომი.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ: ვაჟა-ფშაველას გამზირი, 16, მე-12 სართული, 1218 ოთახი.

ტელ.: 37-96-49 (10-დან 15 საათამდე), 37-90-59 (10-დან 20 საათამდე).

რესპუბლიკური გაერთიანება „საქხილბოსტანვაჭრობის“ გაუქმებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ მიმართონ ზემოთ დასახელებული ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილ საქართველოს ხილბოსტნეულის სახელმწიფო საწარმოო-კომერციულ კონცერნ „მამულს“.

მისამართი: თბილისი, ა. ყაზბეგის გამზირი № 42.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭო, საქართველოს მწვანეთა პარტიის პოლიტიკური კომიტეტი, ეკოლოგიური ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის მწვანეთა ფრაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, პროფესორი

რევაზ კლიმენტის ძე ხუნწარია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

შეკვეთა 6648